საქართველოს

# ქალი

7–8

1997

ეროვნული ბიბლიოთეკა

645
1997





თაიგული ინგა ბერაძეს თაყვანისმცემლებისაგან



დედა-შვილი მოსკოვ-ში წარმატებით გა-მოსვლის შემდეგ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის
ჟურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

●

მთავარი რედაქტორი
**ნარგიზა მგელაძე**

●

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული ზევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნანა ოზოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ზუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — დედა-შვილის ინგა ბერაძისა და გიგი ბებელაშვილის ფოტოები;

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".

ჟურნალი გამოდის 1926 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".
თ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali"
Georgian Woman
a Magasine for Woman of the
Republic of Georgia

# მადლობა

ჟურნალი გამოიცა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში" დახმარებით.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია და საქართველოს ქალთა საბჭო მადლობას უხდიან იმ ორგანიზაციებსა და პირებს, ვინც დახმარება აღმოგვიჩინა ჩვენი ჟურნალის გავრცელებაში:

მცხეთის რ-ნის ქალთა საბჭოს (ინესა ინასარიძე)

აჭარის ქალთა საბჭოს (ნანი გუგუნავა)

ქუთაისის ქალთა საბჭოს (ნელი ბუხბარიძე)

გურჯაანის ქალთა საბჭოს (ლეილა აფთარაშვილი)

რკინიგზის დეპარტამენტის ქალთა საბჭოს (მარინა მეგრელიშვილი)

თბილისის მოზარდთა მე-6 პოლიკლინიკას (მაია როსებაშვილი)

ფოსტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს ქალთა საბჭოს (ნანა ლიბრაძე)

სამხედრო აკადემიის ქალთა საბჭოს (ვენერა მესხი)

სამგორის რაიონის ქალთა ორგანიზაციას (კლარა სვანიძე)

რესპ. სამხედრო კომისარიატს (პოლკოვნიკი მიხეილ ქემოკლიძე)

დიდუბის რაიონის ქალთა საბჭოს (ლია თათხაშვილი)

მთაწმინდის რაიონის ქალთა საბჭოს (თამრიკო ვარსიმაშვილი)

ჩუღურეთის რაიონის ქალთა საბჭოს (ნანა კანდელაკი)

სოცუზრუნველყოფის სამინისტროს (ასმათ ძებისაშვილი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეფორმა განათლების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანია

20 8/6



რედაქციის სტუმარია აჭარის განათლების მინისტრი და ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ნანი ბუჭუნავა

— ვიდრე საუბარს დავიწყებდეთ, მინდა „საქართველოს ქალის" სახელით მოგილოცოთ მთავრობის მაღალი ჯილდო, — ღირსების ორდენი ღირსეულთა ხვედრია და ღმერთმა ღირსებით გატარებინოთ!

ქალბატონო ნანი, ბოლო წლებში მრავალი ძირეული ცვლილება მოხდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს რეფორმა განათლების სფეროში, ყველაზე მნიშვნელოვანი-მეთქი, განათლების სფეროზე ვამბობ, რადგან, ჩემი აზრით, მთავარზე უმთავრესია განათლებული კადრების აღზრდა, რომელთაც ხვალ სახელმწიფო მართვის ბერკეტები უნდა ჩაიბარონ... როგორ აფასებს აჭარის განათლების მინისტრი ამ სიახლეს?

— მადლობას მოგახსენებთ. ჯილდოს მივაჩნევ აჭარის განათლების თითოეული მუშაკის დამსახურებად, რადგან მათი დვაწლის განაპირობებს ჩემი მიღწევებს.

ვსარგებლობ შემთხვევით და გულწრფელად ვულოცავ შესანიშნავ ქალბატონ ნინო მგელაძეს — ჩემი საყვარელი ჟურნალის რედაქტორს მთავრობის მაღალ ჯილდოს — ღირსების ორდენს.

განათლების სფეროში რეფორმა მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ცხოვრებაში. დემოკრატიული საზოგადოების მაშენებელ და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყანას სრულიად აღარ შეესაბამებოდა უნიტარული მმართველობისათვის მისადაგებული განათლების სისტემა. რეფორმა ჩვენთან, აჭარაში, აქტიურად მიმდინარეობს. ორი წლის წინ გამოქვეყნდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა, მას მოჰყვა ბატონ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებები, რამაც რეფორმის მიმდინარეობა ქაოსური მდგომარეობიდან გამოიყვანა და სტაბილური, ეტაპობრივი ხასიათი მისცა.

ისიც უნდა ითქვას, რომ დასაჩქარებელია სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სრულყოფა, მუშაობა სასკოლო ეროვნული სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემისათვის! ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია. რაც უნდა დავარქვათ სკოლას — გიმნაზია, ლიცეუმი, კოლეჯი თუ სხვა რამ, თუკი საფუძვლიანად არ შეიცვლება სასწავლო პროგრამები და არ დამუშავდება ახალი სახელმძღვანელოები, დამეთანხმებით, შინაარსი სწავლა-აღზრდისა იგივე დაგვრჩება. მალე ამუშავდება პარლამენტის მიერ განათლების შესახებ მიღებული კანონი. ჩვენც, შესაძლებლობების მიხედვით, ვმონაწილეობდით კანონპროექტის სრულყოფაში. კანონმა უნდა დააკმაყოფილოს განათლების დემოკრატიზაციის, მართვის დეცენტრალიზაციის და სწავლების ჰუმანიზაციის მოთხოვნები.

— თუ შესაძლებელია, ორიოდე სიტყვით გვითხარით, რა სიახლეებია აჭარის განათლების სფეროში?

— აჭარის განათლების სფეროში ცხოვრების მდინარება საკმაოდ მჩქეფარეა. ბათუმის №1 გიმნაზია ახალ სასწავლო კორპუსში მუშაობს, მისი სასწავლო გეგმები და პროგრამები საგიმნაზიო მუშაობის ისტორიული გამოცდილებით არის შედგენილი.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ბათუმის ერთ-ერთი სკოლის შენობა საპატრიარქოს გადაეცა, სადაც გაიხსნა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, მეორე წელია, ამავე შენობაში მუშაობს სასულიერო სემინარია. მუშაობის ოთხი წლის ისტორია აქვს ბულოს სასულიერო სასწავლებელს. აღნიშნული სასწავლო დაწესებულებები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მოსახლეობაში.

ბათუმში გაიხსნა ეროვნებათშორისო ლიცეუმი, რომელსაც საიმედო პერსპექტივა აქვს. ბათუმის სამი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი მრავალდარგობრივ ლიცეუმად და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად გადაკეთდა, ხოლო პედაგოგიური სასწავლებელი — უმაღლეს პედაგოგიურ კოლეჯად, რომელსაც მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს.

ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე დაარსდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი გადაკეთდა საზღვაო აკადემიად.

პედაგოგიური კადრების დეფიციტის შესავსებად, მათი მიზნობრივი მომზადების უზრუნველსაყოფად მასწავლებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ბათუმის ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა პედაგოგიური ინსტიტუტი, რამაც დიდად შეგვიწყო ხელი მთიანი რაიონებისათვის პედაგოგიური კადრების მომზადებაში. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი, მათ შორის, ბათუმისაც, ვიწრო სპეციალობის კადრებს ამზადებს და ამდენად, ხსენებული ინსტიტუტის შექმნა მდგომარეობით იყო ნაკარნახევი.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა აჭარისათვის ხელოვნების ინს-

ტიტუტის დაარსება ბათუმში, რომელიც უკვე პოპულარული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა.

სიახლეები უამრავია, ისინი ჩვენს ცხოვრებაში თანამიმდევრულად იკიდებენ ფეხს, იმ აჩქარებისა და კამპანიურობის გარეშე, რაც არ შეესაბამება განათლების ზედმეტი ექსპერიმენტულობისადმი შეუთავსებელ ბუნებას.

ორიოდე წლის წინ, განათლების წინაშე მდგარი პრობლემების დაძლევისათვის აჭარაში ჩამოყალიბდა განათლების აღორძინების საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბატონი ასლან აბაშიძე. საბჭოს ინიციატივით, გასული ორი სასწავლო წლის განმავლობაში ათიათასობით მოსწავლე უფასოდ იღებს სახელმძღვანელოების ძირითად ნაწილს; ყოველწლიურად უველა მოსწავლესა და მასწავლებელს გადაეცემა საახალწლო ნობათები, პედაგოგებზე ვრცელდება სხვადასხვა სახის შეღავათები, რომლებიც აგრერიგად მნიშვნელოვანია მათი გამხნევებისა და მხარდაჭერისათვის.

— რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ სოკოებივით მომრავლებული ფასიანი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების გახსნა?

— ქვეყანაში, რომელსაც საბაზრო ეკონომიკისაკენ აქვს აღებული ორიენტაცია, ეს გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. უდავოა, რომ არსებული სასწავლებლების ერთი ნაწილი სამომავლოდ ვერ გაუძლებს კონკურენციას და დაიხურება. მოსახლეობაც არ მისცემს თავს უფლებას შეიყვანოს შვილი ისეთ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სამუშაოს დაწყების პერსპექტივა არ ექნება. ეს სასწავლებლები მაშინ გამრავლდნენ, როცა ბევრი რამ მოუგვარებელი და დაუზუსტებელი იყო.

ამჟამად საჭიროა ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის ატესტაციის ტემპის დაჩქარება და მისი შედეგების მიხედვით — აკრედიტაცია. აკრედიტაციის პირობები აუცილებლად უნდა პასუხობდეს სტანდარტის მოთხოვნებს.

— როგორ თვლით, სად უნდა დასაქმდეს ამდენი კურსდამთავრებული ახალგაზრდა, ან რამდენად დამაკმაყოფილებელია მათი პროფესიული დონე?

— აჭარის განათლების სამინისტროში გამოკვეთილია პოზიცია: დასაქმების დროს უპირატესობა მიეცეს სპეციალისტს, რომელსაც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული, მიგვაჩნია, რომ დღესდღეობით მათი პროფესიული დონე შედარებით მაღალია, მაგრამ სამწუხაროდ, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობა ჭირს...

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ ფასიანი სწავლების შემოღება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აუცილებელია?

— საბაზო განათლება ცხრა კლასის ჩათვლით სახელმწიფოს მიერ არის უზრუნველყოფილი. სწავლების მესამე საფეხურზე კი, ე. ი. ცხრა კლასს ზევით სწავლება ნაწილობრივ ფასიანია. ის, ვინც ნიჭიერია და მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, მოსწავლეთა საერთო კონტინგენტის 30 პროცენტის ფარგლებში, განათლებას მიიღებს უფასოდ, სახელმწიფო დაკვეთით. დანარჩენი 70 პროცენტისათვის კი სწავლება ფასიანია. ეს გარკვეულწილად საქმისადმი რეალურ მიდგომად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მესამე საფეხური განსაზღვრავს ცოდნისა და მეცნიერების დაუფლებისაკენ მისწრაფებას. ვისაც ამისი უნარი არ გააჩნია, მისთვის სწავლება იქნება ფასიანი, ან სურვილისამებრ დაეუფლება შესაფერის სპეციალობას.

ვფიქრობ, ამ საკითხთან შედარებით უფრო პრინციპულია ის, თუ სწავლების რომელი ეტაპი გამოცხადდეს სავალდებულო საფეხურად. ჩვენი აზრით, საბაზო განათლება უნდა იყოს სავალდებულო, რაც უკვე აღიარებულია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამით. საქართველოს კონსტიტუცია სავალდებულო საფეხურად აღიარებს დაწყებით განათლებას. ამის დამკვიდრება კი დასცემს ერის ინტელექტუალურ პოტენციალს, უყურადღებოდ დარჩებიან ოთხკლასდამთავრებული და სწავლაში ჩაუბმელი თერთმეტ-თორმეტი წლის მოზარდები, რომელთა პიროვნების ფორმირებისათვის სახელმწიფოს აღარ ექნება არავითარი მექანიზმი.

— რა აზრის ბრძანდებით სკოლებში თავისუფალი დასწრების შესახებ?

— ეს საკითხი შეიძლება დაისვას უმაღლეს სკოლაში, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითშეგნება და პასუხისმგებლობა შედარებით ფორმირებულია. სხვა მოწინავე ქვეყნების მსგავსად, ჩვენს უმაღლეს სკოლებშიც სტუდენტებს უნდა მიეცეთ უფლება სურვილისამებრ საპროგრამო კურსის შემოკლებულ დროში გავლისა. საშუალება მქონდა ამ საკითხზე პირადად მესაუბრა ატლანტისა და ფლორიდის შტატის განათლების მესვეურებთან, სადაც ეს პრაქტიკა სწავლების ჩვეულებრივი ნორმაა. ნიჭის, უნარისა და ცოდნის გათვალისწინებით, სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო კურსების საგნები წინასწარ მოამზადოს და ხუთწლიანი კურსი ორ-სამ წელიწადში გაიაროს.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თავისუფალ დასწრებას, იმის გათვალისწინებით, რომ თვითკონტროლის უნარი, სწავლისადმი, მოვალეობისადმი დამოკიდებულება ფორმირების სტადიაშია, ჯერ ნაადრევია თავისუფალ დასწრებაზე საუბარი, პირიქით, სკოლაში გაკვეთილებზე დასწრება მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს.

— წელს აჭარაში დიდთოვლობა იყო. როგორ მუშაობდნენ სკოლები მაღალმთიან სოფლებში?

— აჭარის მთის რეგიონში დიდთოვლობასთან დაკავშირებით განსაკუთრებული და სპეციფიური დამოკიდებულება აქვთ გამომუშავებული. მოსახლეობა ადრიდანვე ემზადება, რაც აჭარის ხელისუფლების, რაიონული მმართველობის ორგანოების განსაკუთრებული ყურადღებითა და ხელშეწყობით მიმდინარეობს. ტრადიციისამებრ, მთის რაიონებში ზამთრის პერიოდში გაკვეთილი არ ცდება, დიდთოვლობის პერიოდშიც კი სკოლასა და მოსახლეობას შორის კავშირი არასოდეს წყდება. გასულ სასწავლო წელს, მკაცრი ზამთრის გამო გადავწყვიტეთ ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთი კვირით შეგვეწყვიტა სწავლა. მთის სკოლებმა კი მუშაობის გაგრძელება მოითხოვეს, ვინაიდან მათთან ეს პრობლემა გადაჭრილია. მესამე წელია სკოლებს უფასოდ ეძლევათ თხევადი საწვავი გათბობისათვის, მინა და სხვა, რაც აუცილებელია ზამთრის სეზონისათვის. ასეთ საკითხებს უმთავრეს შემთხვევაში, უშუალოდ ბატონი ასლან აბაშიძე აკონტროლებს.

— რამდენი უმაღლესი სასწავლებელია აჭარაში?

— სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი ოთხია: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ინსტიტუტი, საზღვაო აკადემია, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ბათუმის ინსტიტუტი. ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი კი ცამეტია.

— რას უსურვებდით მოსწავლე-ახალგაზრდობას?

— ბეჯითად სწავლას, ბედნიერ და მშვიდობიან მომავალს, თავისუფალ, ძლიერ, ერთიან და მდიდარ საქართველოში ცხოვრებას!

— ქალბატონო ნანი, გარდა იმისა, რომ განათლების მინისტრის მძიმე მოვალეობა გაკისრიათ, აჭარის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეც ბრძანდებით. თუ შეიძლება, ახლა ამ კუთხით ვისაუბროთ...

— უპირველესად აღვნიშნავ, რომ ჩვენს გვერდით იღვწის საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია, რომლის პრეზიდენტია ქალბატონი მაგული გოგიტიძე. საბჭოს სხდომებზე რეგულარულად განვიხილავთ ქალებისთვის და არა მარტო ქალებისთვის საჭირბოროტო პრობლემებს. ამას წინათ დავაყენეთ ბავშვთა მაწანწალობის საკითხი, — შეიქმნა შტაბი, რომლის წარმომადგენლები მივამაგრეთ ადგილებზე მიკრო-რაიონების მიხედვით. ვერ ვიტყვი, რომ ეს პრობლემა სავსებით გადაიჭრა, მაგრამ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სულ ახლახან განვიხილეთ საკითხები ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების და ნარკომანიის შესახებ, ნარკომანია ხომ ავადმყოფობაა, უკვე ჩამოყალიბებული ნარკომანის განკურნება ძალიან ძნელია, ამიტომ, პირველ რიგში, უნდა ვიზრუნოთ პროფილაქტიკისათვის — მესამე-მეოთხე კლასელ ბავშვს უკვე უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია ნარკოტიკების მომაკვდინებელი გავლენის შესახებ. ყოველ ღონეს ვიხმართ სკოლებსა და ინსტიტუტებში, რომ ახალგაზრდობა არ მივუშვათ ამ „თეთრ სიკვდილთან!"

ესაუბრა ნანა დავითაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელიტარული საზოგადოების ქრონიკა

მელანი გრიფიტმა ჩანთის ცემით მოიგერია თავისი სიმპატიური ქმრის, ანტონიო ბანდერასის თაყვანისმცემელი ქალი, რომელიც ერთ-ერთ მაღაზიაში შეხვდათ. ქალმა სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, პერანგი გაიხსნა და ბანდერასს სთხოვა, მის მკერდზე დაეტოვებინა ავტოგრაფი, მაგრამ ხელოვნის ამ პიკანტურ ადგილზე უმალ მელანის ჩანთა მოხვდა.



უბერებელმა მსახიობმა შერიმ დაბადების 50 წლისთავი მორიგი პლასტიკური ოპერაციით აღნიშნა და რამდენიმე წლით გაახალგაზრდავდა. ეს შერის რიგით მეთხუთმეტე ოპერაციაა, ყველა მონაცემების მიხედვით მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.





ლინდა ევანჯელისტამ ახალ სარფიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მან ახალ სუნამო „ბაროკოს" უნდა გაუკეთოს რეკლამა, რისთვისაც 4 მილიონ დოლარს გადაუხდიან.



ლუჩანო პავაროტიმ თავის ახალგაზრდა საყვარლის, ნიკოლეტა მანტოვანის ხათრით 20 კილო დაიკლო. მომღერალი ძირითადად ბოსტნეულის სალათებით იკვებება და ძალიან განიცდის, რომ საყვარელ სპაგეტის ვერ მიირთმევს.



დანიის სამეფო კარზე დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს დედოფალ მარგარიტას გამეფების 25 წლისთავი. კოპენჰაგენში, კრისტიანბურგის სასახლეში ევროპის თითქმის ყველა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. დედოფალი და მისი მეუღლე, პრინცი ჰენრიკი სიამოვნებით იღებდნენ მილოცვებს. მარგარიტას ორი შვილი ჰყავს. ტახტის მემკვიდრე პრინცი ფრედერიკი ჯერაც უცოლოა, თუმცა მას უამრავ სასიყვარულო თავგადასავალს მიაწერენ. უმცროსმა იოაკიმმა კი შარშან მოიყვანა ცოლად ჰონგ-კონგელი ალექსანდრა მენლი.

ცნობილი მოდელი ევა ჰერცოგოვა მუსიკოს ტიკო ტორესს გაჰყვა ცოლად, თუმცა ქორწილის წინ განაცხადა, რომ მისი ოცნების მამაკაცთა სიაში აწ გარდაცვლილი მარჩელო მასტროიანის გარდა ფეხბურთელები პაოლო მალდინი, რობერტო ბაჯო და მომღერალი ეროს რამაცოტი შედიოდნენ.

მოამზადა თეა გვასალიამ



# ამბავი „მემლექეთიდან მოსულ დიდრვან კაცებზე“



მარცხნიდან — თამაზ ჭილაძე, ლია ჩლაიძე და ოთარ ჭილაძე სტამბოლში ქართველ მამათა სავანესთან

„ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს ნაწამოებებს წაიკითხავენ თურქეთის ქართველები“, — ბრძანა ბ-ნმა თამაზ ჭილაძემ, როცა გაიგო, რომ ჰასან ჩელიქი (მელიქიშვილი) მისი ნაწარმოებების თარგმნას აპირებდა.

„მთელი ცხოვრება ვოცნებობდი თურქეთის ქართველებთან მიახლოებას და ვერ მოვახერხე, მიხარია, თუ ჩემი ლექსები მივლენ მათთან“, — ბრძანა ბ-ნმა ოთარ ჭილაძემ, როცა თურქულ-ქართულენოვან ჟურნალ „ჩვენებურში“ დაბეჭდილი თავისი ლექსების თარგმანები იხილა.

„გვიხარია, თუ ამხელა მწერლებს ჩვენი გაცნობა უნდათ“, — თქვეს სტამბოლის, იზმითის, ბურსას ქართველებმა და თურქეთში მიიწვიეს სახელოვანი ძმები.

1996 წლის 27 ოქტომბერს ტრაპიზონში საქართველოს საკონსულოს თანამშრომლის, ჩვენი მეგობრის, ბ-ნ წათე ბაწაშის მანქანით თბილისიდან გავედით.

რიკოთის უღელტეხილიდან აყოლილმა წვიმამ და ქარმა ხოფამდე გვდია. ზღვის ტალღები მანქანაზე გადადიოდა. „გემით მიმყავხართო“, — ხუმრობდა ბ-ნი წათე.

ბ-ნ ოთარს ძვირად დაუჯდა ქობულეთში მანქანიდან ცოტა ხნით გადმოსვლა. ისედაც შეუძლოდ იყო და ახლა გაციებაც დაერთო.

ქობულეთში გვითხრეს, „მთელს სანაპიროზე ასეთი ამინდიაო“. ვწუხვარ, ვაითუ ამინდმა ჩაგვაშხამოს ის ათიოდე დღე, რომელიც თურქეთში უნდა გავატაროთ"

რაც „სარფის კარი“ გავიარეთ, ბ-ნ თამაზს ხმა არ ამოუღია. ფიქრობს თუ აწუხებს რამე?

ბ-ნ წათეს არაფერი გამოეპარება და აი, ტრაპიზონში შესვლამდე მანქანამ გზიდან გადაუხვია და სოფლის ორღობეს შეუყვა. ლამაზ ლაზურ სოფელში კოხტა ოდას მივადექით. გაიშალა სუფრა, შეისვა იმ მიწა-წყლის სადღეგრძელო. „შემძრა აქაურობის ხილვამ. არა, ბატონო, არავინ მითხრას, ტაო-კლარჯეთში წამოდიო — ამბობს ბ-ნი თამაზი. ნაცნობი განცდაა! აი, თურმე, რატომ იყო ცუდ ხასიათზე!

ტრაპიზონში ღამე გავათიეთ და გავუდექით გზას სტამბოლისაკენ, გრძელია და მომქანცველი ეს გზა. იძულებული ვართ, ერთი ღამით ადაფაზარში შევჩერდეთ. მეორე დღე — 29 ოქტომბერი — „რესპუბლიკის დღესასწაული“ — ხმაურით, აღლუმით გათენდა.

ჩვენი მეგობარი მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი) იზმითში (ძველი ნიკომედია) შეგვეგება და გაგვყვა სტამბოლს. რათა გზა არ აგვრეოდა. ის არცთუ მოულოდნელია 12-მილიონიან ქალაქში.

არაჩვეულებრივი ამინდი დგას სტამბოლში. ახალი „ფათიჰის ხიდით“ გადავდივართ მზით აბრჭყვიალებულ ბოსფორზე. მერჩია, ძველი, „ათათურქის ხიდით“ გადავსულიყავით. იქიდან უფრო ლამაზი ხედია, მაგრამ ვატყობ, ჩვენს მასპინძლებს აქედანაც ხიბლავს სტამბოლი.

ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო სტამბოლის ცენტრში. შეხვედრებით, შთაბეჭდილებებით აღსავსე ოთხი დღე...

„პარიზში შევესწარი თქვენი „რკინის თეატრის“ პრეზენტაციას. ვნახე, როგორ აღაფრთოვანა ყოვლისმნახველი ფრანგები ამ რომანმა. ვიფიქრე, ასეთი რა დაწერა ქართველმა მწერალმა-მეთქი. ვიყიდე, წავიკითხე, მეც გავგიჟდი. ჩამოვიჭერი თურქეთში და დავიწყე თარგმნაო“, — უთხრა ბ-ნ ოთარს ცნობილმა მთარგმნელმა ისმაილ იერგუზმა, რომელმაც მეორე დღესვე მოაკითხა სასტუმროში. აქვეა შაბან თაბანი (წარმოშობით ქართველი), რომელიც სოლიდური გამომცემლობის პატრონია. გამომცემლობისათვის ქართული სახელი „სინათლე“ დაურქმევია. „სულ ქართული წიგნები უნდა გამოვცეო“, — ამბობს და ბ-ნი თამაზისა და ბ-ნი ოთარის წიგნებით იწყებს.

30 ოქტომბერს ქართველი მწერლები „თურქეთის მწერალთა სინდიკატში“ მიიწვიეს.

— Господа, я же знаю Вас! — ამ სიტყვებით შეეგება სტუმრებს სინდიკატის თავმჯდომარე, ცნობილი პოეტი ათაოლ ბეჰრამოღლუ, რომელიც რუსული ლიტერატურის სპეციალისტია. „კარგად ვიცნობ პასტერნაკის შემოქმედებას და იქიდან ვიცი, რა ღირებულებისაა ქართული პოეზიაო“. ბევრი ქართველი მწერალი წაუკითხავს რუსულ თარგმანში, მათ შორის ჭილაძეებიც.

თბილ, მეგობრულ ატმოსფეროში, „ჭიქა ჩაიზე“, ქართველი და თურქი მწერლები საუბრობენ ლიტერატურაზე, ლიტერატურულ ურთიერთობებზე, კითხულობენ თამაზ ჭილაძისა და ოთარ ჭილაძის ლექსების ჰასან ჩელიქისეულ თარგმანებს.

ბ-ნმა თამაზმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, ილაპარაკა ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების პერსპექტივებზე. „თქვენს ღიმილს თან წავიღებ ჩემს სამშობლოშიო“, — უთხრა თურქ პოეტებს.

გამომშვიდობებისას ბ-ნმა ათაოლმა ერთხელ კიდევ აამა სტუმრებს: „ჩვენ ახლა ფიროსმანის ოცნება შევასრულეთ, ოღონდ სამოვარი გვაკლდაო“ (საუბარი მრგვალი მაგიდის გარშემო მიმდინარეობდა).

„ბედნიერი ვარ აქაური ქართველების გაცნობით. ვხედავ, რომ ჩვენი აქაური ძმები თურქეთის საზოგადოებაში კარგად ცხოვრობენ. დიახ, ჩვენ ქართველები ვართ თუ თურქები, უპირველესად ყოვლისა ადამიანები ვართ. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს და უკეთესად ცხოვრების გზები უნდა ვეძიოთ“. ამ სიტყვებით დაასრულა ბ-ნმა თამაზმა თავისი გამოსვლა „შევარდნაძის ფონდის“ სტამბოლის ფილიალში გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც თავი მოიყარეს ჟურნალისტებმა, მწერლებმა, სტამბოლელმა ქართველებმა. პრესკონფერენციას ცნობილი თეატრმცოდნე, ქართული კულტურის დიდი დამფასებელი ლაზი ჰაიათი ასილიაზიჯი უძღვებოდა.

იზმითელი ქართველები სასტუმროში ელოდებიან სტუმრებს — ლამაზი, მოხდენილი, კარგი მოქართულე ზრდილი ჭაბუკები.

— ნუთუ თურქეთის ქართველები ყველანი ასეთი კარგები არიან?! — აღფრთოვანებულია ბ-ნი ოთარი. განსაკუთრებით გაიხარა გურამ ხიმშიაშვილის შვილების — ლევანისა და მიხოს ნახვით.

— ლევან ხიმშიაშვილი! იცით, ეს რა სახელია?!

— რომ ვიცით, სწორედ იმიტომ ჰქვია, — იყო პასუხი.

— წაიყვანეთ ეს ბიჭი და თქვენ გაზარდეთო, — მითხრა ბ-ნმა თამაზმა მიხოზე, როცა დაინახა, როგორ გვიყვარს მე და მიხოს ერთმანეთი.

მიხო ჯერ პატარაა, დედასთან უნდა. სკოლას რომ [illegible] ძაშინ ვნახოთ.

იზმითსა და მის შემოგარენში XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. კარგად შემოუნახავთ ენა. ქალაქი ორ რაიონად არის გაყოფილი. თითოეულს თავისი მერი ჰყავს. ორივე მერი, ვიცე-მერები — ყველანი ქართველები არიან. კარგად გვიმასპინძლეს. ბ-ნი თამაზი ქ. გოლჯუქის ქართველებს შეხვდა. კმაყოფილი იყო.

აეჩქარდით. ბურსას მივდიოდით, მაგრამ იქ, როგორც გ. ხიმშიაშვილი იტყოდა, „მთელი პროგრამა თავდაყირა დგება“. ველარც ინეგოლში მივდივართ, ველარც ქართულ სოფლებში, ველარც ანკარაში.

— რას ჰქვია, არ მოდიხართო! — რეკავენ ხან საიდან, ხან საიდან.

საქართველოს საელჩო მანქანას გვიგზავნის და ვბრუნდებით საქართველოში.

ვიცი, გავა დრო, თან წაიღებს აეადმყოფობას, დაღლას, წერილმან დისკომფორტს. ყველა მოგზაურობას რომ ახლავს და დარჩება სასიამოვნო მოგონება საოცარ სტამბოლზე, „მწვანე ბურსაზე“, იქ მცხოვრებ ჩვენებურებზე, უშურველად რომ გასცემენ სითბოსა და სიყვარულს „მემლექეთიდან მოსულ დიდრვან კაცებზე“. დარჩება თურქულად თარგმნილი ქართველ დრამატურგთა პიესები, თამაზ ჭილაძის „კრებული“, ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრი“.

**ლია ჩლაიძე**

## იყავით ჯანმრთელნი!

### სასარგებლო ზიზილები

**თუ შეგიძლიათ მირჩიოთ სისხლის გამწმენდის რაიმე საშუალება?**

**ვ. ქ.**

ჩაი გამხმარი ზიზილებისაგან (მარგარიტკი) —. ყვავილები და ფოთლებიც ჯერ კიდევ ჩვენს წინაპრებს შველოდა. ეს გამოყენებული იყო სისხლის გასაწმენდად და წიდების გამოსაყვანად. 2 ჩაის კოვზ გამხმარ ზიზილას დაასხით 1/4 ჭიქა მდუღარე. გააჩერეთ 10 წუთი, გაწურეთ და მიირთვით 2 ჭიქა დღეში.

### იოდი ძილს უწყობს ხელს

**მალე ჩემს შვილს დიპლომის დაცვა აქვს. ნერვიულობისაგან თითქმის არ მძინავს.**

**ვ. დ.**

ნერვული დაძაბულობის და უძილობის დროს, კარგად გვეხმარება იოდი. 1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი აურიეთ ერთ ჭიქა წყალში ან ხილის წვენში. შიგ საწვეთურით ჩააწვეთეთ ერთი წვეთი იოდი. კარგად აურიეთ და ჭამამდე 20-30 წუთით ადრე დალიეთ პატარ-პატარა ყლუპებით.

### მოუარეთ ყელს!

**როგორც კი ცივ სასმელს დავლევ, მაშინვე ყელში მტკივა.**

**ლ. ხ.**

1 წილ კარტოფილის კანს დაასხით 8 წილი წყალი და მჭიდროდ დახურულ ქვაბში ხარშეთ. დაუმატეთ ერთი ჭიქა დაჭრილი ხახვი და ერთი ჭიქა თაფლი. სწრაფად დაახურეთ სახურავი და გადმოდგით ცეცხლიდან. დააწვინეთ ავადმყოფი, მიუტანეთ ქვაბი ახლოს. გადააფარეთ თავზე და ქვაბზე პირსახოცი და გაუკეთეთ ინჰალაცია, როგორც შესძლებს, ხანგრძლივად. შემდეგ დაალევინეთ თაფლიანი ჩაი და დააძინეთ.

### გვირილა და თაფლი სოდის ნაცვლად

**ჩემს პატარა შვილიშვილს ყველაფერი პირში მიაქვს და როცა ნუნები უწითლდება, სოდით გამორეცხვის ნებას არ გვაძლევს.**

**მ. ს.**

ეცადეთ, სოდის ნაცვლად გამოიყენოთ გვირილა და თაფლი. ეს კარგი საშუალებაა სტომატიტისა და პირში პატარა წყლულების დროს.

ნაყენი: 1-2 სუფრის კოვზი გვირილის ყვავილს დაასხამენ ერთ ჩაის ჭიქა მდუღარეს. რამდენიმე ხანში გადაწურავენ, გემოს მიხედვით დაამატებენ თაფლს და ნაყენი მზადაა.

### მიირთვით კაკალი — აივსეთ ენერგიით

**ცოტა ხნის წინათ საავადმყოფოდან გამოვედი, თითქოს კარგად ვარ, მაგრამ როგორც კი ცოტა საქმეს გავაკეთებ ან ქუჩაში გავივლი, ვიღლები. ენერგია არა მაქვს.**

**მ. კ.**

სწრაფ გამოჯანმრთელებას და ენერგიის აღდგენას ხელს უწყობს ასეთი ნარევი: ჭიქა დაქუცმაცებულ კაკალს დაასხით ორი ჭიქა რძე ან ნალები, დაუმატეთ 1/2 ჭიქა შვრიის (ოვსიანკა) ფქვილი და თაფლი. კარგად აურიეთ და მიირთვით 2/3 ჭიქა ჭამამდე ერთი საათით ადრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალისა და მამაკაცის ქირურგიული კონტრაცეპცია

## ეს მეთოდები ი. ჟორდანიას ინსტიტუტში ხორციელდება

ქირურგიული კონტრაცეპცია დღეისათვის ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებული მეთოდია ოჯახის დაგეგმვის სხვა მეთორებს შორის მთელ მსოფლიოში.

ქალთა ქირურგიული კონტრაცეპციის პირველი ფაქტები აღწერილია XIX საუკუნის დასაწყისში, მისი ფართოდ დანერგვა კი მოხდა 1930 წლიდან Pomeroy-ს მიერ სპეციალური მეთოდის მოწოდების შემდეგ. თავდაპირველად ოჯახის დაგეგმვის ეს მეთოდი გამოიყენებოდა სამედიცინო ჩვენებებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. მოგვიანებით იგი პოპულარული გახდა სოციალური და კონტრაცეპციული მოსაზრებითაც.

ჯანმრთელი ქალი განაყოფიერების უნარიანია 50-51 წლამდე, ჯანმრთელი მამაკაცი კი — მთელი სიცოცხლის განმავლობაში. რადგანაც წყვილთა უმრავლესობას 25-35 წ. ასაკში ჰყავს შვილების სასურველი რაოდენობა და ბუნებრივია მათ წინაშე დგება საკითხი დარჩენილი ხნის განმავლობაში არასასურველი ორსულობისაგან თავის დაცვისა, სწორედ მათთვისაა ყველაზე ხელსაყრელი და მოსახერხებელი ქირურგიული კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენება, ვინაიდან იგი წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ, მუდმივ და უვნებელ გზას ორსულობისგან თავის დასაცავად არა მხოლოდ ქალებისათვის, არამედ მამაკაცებისათვისაც და, ამავე დროს, ითვლება ყველაზე საიმედო, უსაფრთხო და ეკონომიურ მეთოდად. რომელიც პრაქტიკულად არ ცვლის სქესობრივი ცხოვრების წესს.

ქირურგიული ტექნიკის დახვეწამ, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ზრდამ, ამბულატორიულ პირობებში პროცედურის შესრულების შესაძლებლობამ უმთავრესად ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ და ამავე დროს დაბალმა ეკონომიურმა დანახარჯებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი, როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ქირურგიული კონტრაცეპციის პოპულარობის ზრდას, განსაკუთრებით ბოლო 10 წლის განმავლობაში.

ამჟამად მსოფლიოში შვილოსნობის ასაკის 100 მილიონზე მეტი ქალი სარგებლობს ამ მეთოდით და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით უახლოეს 20 წელიწადში მათი რაოდენობა კიდევ 100 მილიონით გაიზრდება.

ოჯახის დაგეგმვის ეს მეთოდები საქართველოში, კერძოდ ი. ჟორდანიას სახ. ს/კ ინსტიტუტში დანერგილია და ეფექტურად ხორციელდება.

ქალის ქირურგიული კონტრაცეპცია, რომელიც წარმოადგენს საშვილოსნო კვერცხსავალი მილების გადაკვანძვას ან დახშობას, მარტივი პროცედურაა. შეიძლება შესრულდეს ამბულატორიულად, ანუ არ საჭიროებს პაციენტის მოთავსებას კლინიკაში რამოდენიმე დღით. პროცედურა კეთდება ლაპროსკოპიულად, რაც გულისხმობს, სპეციალური ოპტიკური ტექნიკისა და ტელევიდეო აპარატურის გამოყენებით მუცლის ღრუს გახსნის გარეშე ოპერაციის წარმოებას. ჩვეულებრივ იგი გრძელდება 15-20 წუთი, პაციენტი სტაციონარში რჩება პროცედურის ჩატარებიდან 2-3 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც თავისუფლად შეუძლია დატოვოს იგი. შემდგომში მას პრაქტიკულად აღარ შეაწუხებს არასასურველი ორსულობისა და მით უმეტეს, აბორტთან დაკავშირებული პრობლემები.

მამაკაცის ქირურგიული კონტრაცეპცია, რომელსაც ვაზექტომიას უწოდებენ, ითვლება ოჯახის დაგეგმვის უფრო მარტივ, იაფფასიან და ეფექტურ მეთოდად ვიდრე ქალის ქირურგიული კონტრაცეპცია, თუმცაღა ეს უკანასკნელი გაცილებით პოპულარულია მთელ მსოფლიოში.

ვაზექტომია წარმოადგენს პროცედურას, რომელიც გულისხმობს სათესლე პარკში სათესლე ბაგირაკის გადაკვანძვას. ოპერაცია მარტივია, ხანმოკლე (20-25 წთ.), მისი შესრულება შესაძლებელია როგორც კლინიკაში, ასევე ამბულატორიულად. პროცედურა არ ცვლის მამაკაცის სქესობრივი ცხოვრების წესს და გავლენას არ ახდენს მის პოტენციაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვაზექტომია არასკალპელური მეთოდით, რაც გულისხმობს სკალპელის (ქირურგიული დანის) გამოყენების გარეშე ოპერაციის წარმოებას სპეციალური ინსტრუმენტების დახმარებით.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი საინტერესო ფაქტი: ბანკოკში (ინდონეზია), 1987 წლის 5 დეკემბერს, მეფის დაბადების დღეს მიეძღვნა ვაზექტომიის ფესტივალი, რომელზეც ერთი დღის განავლობაში 48 საოპერაციო მაგიდაზე, არასკალპელური მეთოდით, შესრულებული იქნა 1200 ვაზექტომია.

ქირურგიული კონტრაცეპცია, როგორც ქალის, ასევე მამაკაცისა რეკომენდირებულია იმ წყვილებისათვის, რომელთაც უკვე ჰყავთ შვილების სასურველი რაოდენობა და შემდგომში აღარ აპირებენ მათ გაჩენას, ასევე იმ ქალებისათვის, რომლებისთვისაც ორსულობა და მშობიარობა სამედიცინო თვალსაზრისით უკუნაჩვენებია. აღნიშნული რეკომენდაცია განსაკუთრებით საყურადღებო და ხაზგასასმელია, ვინაიდან მეთოდები განიხილება როგორც შეუქცევადი, რაც თავის მხრივ გულისხმობს შვილოსნობის ფუნქციის საბოლოო დასასრულს და გადაწყვეტილების მიღებამდე მოითხოვს სერიოზულ განსჯასა და დაფიქრებას წყვილის მიერ.

**არსენ გვენეტაძე,**
***მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ი. ჟორდანიას სახ. ს/კ ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს

ოცდათორმეტი წელიწადი მოსკოვში გაატარა და მხოლოდ ცამეტი წლის წინათ მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა ჩვენი საყვარელი პოეტი მიხეილ ქვლივიძე. დღეს იგი ჩვენი ნომრის საპატიო სტუმარია, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გულწრფელად გვესაუბრება მისი განვლილი ცხოვრების შესახებ.



**— ბატონო მიხეილ, საკმაოდ დიდი დრო, თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაატარეთ, რა მოგცათ ამ წლებმა და რა დაგაკარგვინათ, რაიმეზე ხომ არ გტკივათ გული?**

— მაშინ 27 წლის ვიყავი. ძნელია სასწორზე აწონო, რა მომცა და რა დამაკარგვინა დრომ, რომელსაც სამშობლოს დაშორება ჰქვია. ეს რომ არა, ასე არანორმალურად ნამდვილად არ მეყვარებოდა ჩემი ერი, ჩემი სათაყვანებელი სამშობლო. გაუნელებელ ნატვრაში გავლიე ის პერიოდი, ამიტომაცაა, რომ ვერ ვძლები მისი სიახლოვით, თუმცა უქმად არ გამიტარებია ის წლები, ჩემი სამშობლოს მაჯისცემაში ვიყავი ჩართული. სსრ კავშირის მწერალთა კავშირში ჩვენი წარმომადგენლის პოსტი მეკავა, იძულებული ვიყავი ყველაფერი წამეკითხა, ყველანაირ ლიტერატურას გავცნობოდი, რაც საქართველოს შესახებ იწერებოდა. „ჟანგბადის ბალიშისათვის" წელიწადში სულ ცოტა ექვსჯერ მაინც ჩამოვდიოდი თბილისში.

**— გვიამბეთ თქვენს ოჯახზე?**

— ოქროს ბავშვობა მქონდა. დიდი, თბილი ოჯახი. ბაბო, დედა, მამა, და, ძმა, დიდი ნათესაობა. მამა ინჟინერი გახლდათ, გიორგი ქვლივიძე, პეტერბურგში ჰქონდა განათლება მიღებული, როგორც „ხალხის მტერმა" ოცდაათიან წლებში ორი წელი ციხეში გაატარა. დედა დიასახლისი იყო, რუსული წმინდა ნინოს პანსიონი ჰქონდა დამთავრებული, მისი წყალობით ბრწყინვალედ შევისწავლე რუსული ენა. ძმა სამამულო ომში დაიღუპა, მამაც იბრძოდა ქერჩში, სადაც დაინვალიდდა.

ჩემი პირველი ქორწინება ღვთის რწმენასთანაა დაკავშირებული: ორმოცდაორი წლის ასაკში გარდამეცვალა დედა, ღმერთს აღვუთქვი (მორწმუნე გახლავართ), მალე დავქორწინდებოდი, მეყოლებოდა პირველი შვილი, აუცილებლად ქალიშვილი და დავარქმევდი დედის სახელს — თამარს. ისე აგიხდეთ ყველაფერი, შევირთე უკრაინელი ქალი — ლილი ერქვა. შეგვეძინა ორი ქალიშვილი, რვა კვადრატულ მეტრ ოთახში ხუთი სული ვცხოვრობდით. უბინაობამ მაიძულა დამეტოვებინა სამშობლო. ასე დავსახლდით ხლებნიკოვოში. პედაგოგად ვერ ვივარგე, შვილებს ვერ შევასწავლე მშობლიური ენა, ჩემი მიზანი იყო — თავად არ გავრუსებულიყავი. ახლა თამარი ორმოცი წლისაა, ამერიკაში ცხოვრობს, გერმანული ენის სპეციალისტია, ორი შვილის დედა, მეუღლე დიპლომატი ჰყავს. უმცროსი ქალიშვილი ნატოც გერმანისტია, მოსკოვში ცხოვრობს, ოღონდ ერთი უცნაურობა ჭირს, ქმრებს ვერ ეგუება, მესამე ქმარს გაეყარა, ერთი გოგონა ჰყავს — ვერიკო ქვლივიძე. ახლახანს მძიმედ ვიყავი ავად, ამერიკიდან უმცროსმა შვილიშვილმა კატიუშამ „ბარბისთვის" შეგროვილი ორასი დოლარი გამომიგზავნა, წამალი იყიდოს პაპამო.

ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა უკურნებელი სენით ლილი. მოსკოვში შევხვდი ასპირანტ მედეა შალამბერიძეს, მოვკიდე ხელი და მოვაშურეთ საქართველოს. ბედნიერი კაცი ვარ, ძლივს დავსახლდი თბილისში, ჩამოსვლიდან რვა წლის შემდეგ საკუთარი ჭერიც მეღირსა.

**— „გაჩენის დღიდან მოძმის სულში ვიყურებოდი და ბოლოს მასში — საკუთარი თავი ვიცანი"... თქვენი სიტყვებია.**

— ჩემს თავს არ გამოვარჩევ ნებისმიერი ქართველი კაცისგან, ჩემი ერის ნამდვილი შვილი ვარ, მისი ჭირვარამის გამზიარებელი. ფუფუნებას მოკლებული, მანქანით არასოდეს მივლია, ზემოდან არავისთვის დამიხედავს, მებრალება მათხოვარი, უქონელი და უსახლო, შვიდ საათზე კაფეში ჩაის დასალევად გავსულვარ თბილისის ქუჩაში...

**— თქვენი პოეზია გამსჭვალულია სამშობლოს, მშობლიური თბილისის სიყვარულით, რა იყო ეს, ნოსტალგია თუ პოეტის შთაგონების წყარო?**

— არ ვაჭარბებ, თბილისის მემატიანე ვარ. მისდამი მიძღვნილი ლექსი მოსკოვიდან ტელეფონით საათობით წამიკითხავს ოთარ მამფორიასთვის. სტრიქონი არასოდეს დამიწერია რუსულად. ერთხელ ბატონმა პავლე ინ-

გოროყვამ მითხრა, „რა ოხერი კაცი ხარ, საყველპუროდ გაიხადე რუსული, ქართული ლოცვისათვის შემოინახეო“.

**— თქვენი პოეზია გამორჩეულია, რადგან მასში სინამდვილის უტყუარი სურათია დახატული.**

— ჩემთვის სიყმაწვილიდან ყველაზე საინტერესო პოეტი იყო არჩილი, როგორც პატრიოტი და „მართლისა მთქმელი“. ერთი მისხალი ტყუილი სპობს ლექსს, ფასს უკარგავს. ლექსი ვერ ეგუება სიყალბეს, როცა ხალხი უბედურია და მწერალი წერს ბედნიერიაო, ეს ნამდვილი უხამსობაა.

უზომოდ მიყვარს ლადო ასათიანი, მისი პატრიოტული ლირიკა, სრული დაღვინება არ დასცალდა, ის ხომ გალაკტიონის სანაცვლოდ მოდიოდა, გალაკტიონი კი ჩემი ეტალონია. ჩემი აზრით, კარგი კაცის, კარგი პოეტის დაწერილ ლექსს რომ წაიკითხავ, უფრო უკეთესი უნდა გახდე, ვიდრე მანამდე იყავი.

**— თქვენს ლექსებს მღერიან, ზეპირად სწავლობენ, მრავალრიცხოვანი მკითხველი გყავთ, ახლა კი არა, იმთავითვე, როცა ფეხი შედგით მწერლობაში.**

— ჩემი ღირსებაა ის, რომ გვარიანად ვკითხულობ ლექსს, ისე ვკითხულობ, როგორც ვწერ და ვწერ იმისთვის, რომ ახალი აზრი და გრძნობა მივაწოდო მკითხველს. თუ ლექსი მუსიკალურია, ამაში კომპოზიტორებიც მიწყობენ ხელს. ქალბატონმა ნუნუ დუღაშვილმა დაწერა შესანიშნავი მუსიკა ჩემს ლექსზე „...ქართულო მიწავ, შენს ქვიან გზებზე, სიმართლის მეტი რა მიძებნია“... მე ვფიქრობ ლექსის კარგი წაკითხვა ხელს უწყობს ჩემს პოპულარობას, როგორც თქვენ ბრძანეთ.

**— ბევრს მოგზაურობდით?**

— მოსკოვი ჩემი მშობლიური ქალაქი რადგან არ იყო, ამიტომ ჩემთვის სულერთი იყო სად ვიქნებოდი — ხაბაროვსკში თუ სამარყანდში. დელეგაციების მეშვეობით საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები კიდით კიდემდე მაქვს შემოვლილი, ბრესტიდან — კამჩატკამდე, სულ დავეხეტებოდი.

**— ბევრი ლექსი გაქვთ მიძღვნილი კახეთისადმი, საიდან იცნობთ ასე კარგად სოფელს?**

— მთელი ჩემი ბავშვობა დაკავშირებულია სოფელ ხაშმთან, საგარეჯოსთან. ვენაცვალე საქართველოს ყველა კუთხეს, მაგრამ ქართლ-კახური დიალექტი ხომ ძირის-ძირია ქართუ[illegible]ენისა.

**— „ნეტა რა მეშველებოდა, ოცნება რომ არ მქონოდა“, ბრძანებთ ერთგან.**

— სამშობლოს ნოსტალგიით შეპყრობილი, ოცნებამ გადამარჩინა. [illegible] ის, ვისაც შეუძლია იოცნებოს. გარანტირებულია ერთდროულად იყოს აწმყოშიც, წარსულშიც და მომავალშიც.

**— ბატონო მიხეილ, მაპატიეთ ერთი უხერხული შეკითხვა: ლექსების მიხედვით დიდად შეყვარებული შეუღლე ჩანხართ... ნუთუ ცოლისთვის არასოდეს გიღალატიათ?**

— ამაზე გიპასუხებთ ლექსით — „ჩემს მეუღლეს“.

„ჩემზე კარგო და ჩემზე ჭკვიანო,
შენ შეგიძლია იეჭვიანო,
მე გაძლევ ამის საკმაო საბაბს,
მეოცნებე და სახით ვნებული,
ასე უზომოდ და ასე ხარბად
მთელ ქვეყანაზე შეყვარებული“.

და მაინც, მიუხედავად ამისა, არასოდეს მიღალა[illegible] ოჯახისათვის, შვილებისათვის. რასაკვირველია, მქონია გატაცებები, მაგრამ ამაშიც ვიცოდი ზღვარის დადება.

**— მართლა „ოჯახის ზრუნვის ჯვარზე გაკრულმა“ გაატარეთ ახალგაზრდობა?**

— დიახ, სრული სიმართლეა, თუმცა თვალი ყოველთვის უნებლიეთ გამირბოდა განზე!

**— როდის დაწერეთ „ჩემო პატარა თამარ! ჩემო პატარა ნატო, თქვენი ქართველი მამა ცხოვრობს თბილისში მარტო?!“**

— სამშობლოს თავდავიწყებულმა სიყვარულმა ბევრჯერ მიმატოვებინა მოსკოვი, ერთხელაც მე და მეუღლემ „გავიყავით“ შვილები, უფროსი — თამრიკო თბილისში წამოვიყვანე, ორი წელი ჯვარს ვეცვით მეცა და ჩემი გოგონაც, მომკლა ფაფების ხარშვამ, ვერც სამსახური გამოიძებნა ჩემთვის და ვერც ბინა, მოსკოვში კი დიდ პატივში ვიყავი, ლამის კალთას მახევდნენ არ წამოსვულიყავი, იძულებული შევიქენი (უკვე მერამდენედ) დავბრუნებულიყავი უკან.

**— „...გეტყობა, ტვირთი დაგაწვა მძიმე, ხუმრობა საქ[illegible] მე არ არის ცოლი! და იქვე „მართლა ტვირთია ბედნიერება“?**

— ბედნიერებას გაფრთხილება უნდა. ყველა გრძნობით შეიძლება დაკმაყოფილდეს კაცი, სიყვარულით [illegible] ყოველთვის მშიერი კვდები, სიყვარული დიდი დარდია, ზრუნვაა, პასუხისმგებლობაა, მაგრამ ამავე დროს, დიდი ბედნიერებაცაა. იმაზე მეირფასი რა უნდა იყოს, როცა ვინმეს ჭირდები, უყვარხარ და გიყვარს.

**— ბატონო მიშა, თქვენი შესანიშნავი ლექსი „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“, რამდენმა ჟურნალისტმა გამოიყენა ეს ფრთიანი გამოთქმა.**

— გიორგი შავგულიძე ახალი გარდაცვლილი იყო, სიზმარში ვნახე, ავდექი და ცხელ გულზე ეს ლექსი დავწერე, ღმერთს ვთხოვ, თითოეულმა ჩვენთაგანმა ისე იცხოვროს, რომ ოდესმე დააკლდეს ქალაქს.

**— თქვენზე ამბობენ, საოცრად თბილი და უშუალო იყავით ქალებთან ურთიერთობაში, ქალი თქვენთვის მუდამ იყო სათაყვანებელი არსება.**

— ქალისადმი ასეთი დამოკიდებულება დედამ მასწავლა, სათნოება, სითბო დედისგან მომდგამს. გუშინდელივით მახსოვს, საბანს როგორ მახურავდა, ხელს როგორ გადამისვამდა თავზე. ქალი არ შეიძლება ცუდი იყოს, იგი ხომ „კაცობრიობის მოწყალების დაა!“

**— ბატონო მიხეილ, თქვენ მხატვარიც ბრძანდებით?**

— წარჩინებით დავამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. შემდეგ ორი წელი ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ჩემი სათაყვანებელი პედაგოგები იყვნენ: კოტე ბაქრაძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, მოსე გოგიბერიძე, გრიგოლ კიკნაძე, მაგრამ ომმა ხელი შემიშალა სწავლაში, ვერ დავასრულე უნივერსიტეტი. შრომით რეზერვებში მოვხვდი მობილიზაციით და ქარხანაში ხარატად დავიწყე მუშაობა.

მხატვრობა ჩემთვის ჰობია. იგი თითქოს ლექსის წერაშიც მშველის, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, როცა ვწერ, ვხატავ კიდეც.

**— ასევე ეწევით მთარგმნელობით საქმიანობას.**

— რუსულად ლექსის ერთი სტრიქონიც არ დამიწერია. რამოდენიმე პროზაული ნაწარმოები მაქვს ქართულიდან რუსულად თარგმნილი, მაგრამ ეს ჩემთვის შემოსავლის წყარო იყო, მეტი არაფერი. ვიცი პოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარცხნიდან — მედეა შალამბერიძე, გიორგი ქვლივიძე, მიხეილ ქვლივიძე

ნური. ვისლავა შიმბორსკას ლექსები მომეწონა და ვთარგმნე ქართულად. რუსულად ვთარგმნე კინოფილმები: „ნატვრის ხე“, „მონანიება“, „იავნანა“, „უძინართა მზე“ და გავახმოვანე კიდეც.

**— უთუოდ ბევრი მეგობარი გეყოლებათ მოსკოვში, კარგად იცნობთ რუსულ საზოგადოებას, გულთან თუ მიაქვთ ჩვენი დღევანდელი გასაჭირი და რას აკეთებენ ჩვენთვის, საერთოდ სიმართლისათვის?**

— სამწუხაროდ, ბევრს არაფერს! მოსკოვში ცხოვრების დროს ჩემი ახლო მეგობრები იყვნენ: ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ალ. მეჟიროვი, ბულატ ოკუჯავა, ა. ვოზნესენსკი, ა. ტარკოვსკი, კ. სემიონოვი, ა. ახმატოვა, ნ. ზაბოლოცკი... ვერ გამიგია, რატომ სდუმან საქართველოს „უერთგულესი“ მეგობრები — ევტუშენკო, ახმადულინა და სხვები. არ მინდა ვიფიქრო, რომ ისინი ცუდი ხალხია, ეჭვი კი გამიჩნდა მათ მიმართ. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა — ახმატოვა, ზაბოლოცკი და ტიხონოვი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ასეთ პოზიციას ნამდვილად არ აირჩევდნენ. ეტყობა ახალგაზრდებში მედროვეობის სიმპტომმა იმძლავრა.

**— ახლა ჩვენი მიწა-წყლის შვილი, ქართველი მეუღლე გყავთ, მისგან ცამეტი წლის ბიჭუნა — გიორგი გულს გიხარებთ, ბედნიერი ხართ?**

— ძალიან! მადლობას ვწირავ ღმერთს. საკუთარი ჭერი მაქვს, ჩემი სახლიდან, ლესელიძის 18 ნომრიდან, თოთხმეტი ეკლესია მოჩანს. ასე ადამიანურად არასდროს მიცხოვრია: რაც მაკლდა და რაც მენატრებოდა, შევისრულე, ცოლ-შვილს ქართულად ველაპარაკები. ჩემი გაგებით „ბედნიერი“ შეიძლება ეწოდოს იმ კაცს, ვისაც ისეთი ვინმე ჰყავს გვერდით, ურომლისოდაც ერთ წუთსაც ვერ იცოცხლებს, თუმცა, ამას ესეც მინდა დავუმატო:

„საჩუქარი ხარ ბედისა? რა ხარ?
თუ სასჯელი ხარ მაცდური ბედის,
და შენ იმიტომ მოხვედი ახლა,
როცა თავდება ჩემი ცხოვრება,
რომ კიდევ უფრო გამწარდეს ჩემთვის
წუთისოფელთან გამოთხოვება...“

ცოლისადმი მიძღვნილ ამ სტრიქონებში, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი.

**— ბატონო მიხეილ, თქვენი გატაცება?**

— ძალიან მიყვარს მცენარეები, განსაკუთრებით ყვავილები. ამას ფილოსოფიური საფუძველი აქვს, ყველაფერმა რომ გიღალატოს, თუ თესლი ვარგისიანია, არ გიღალატებს, ნაყოფს გამოიღებს!

**— რა აზრის ბრძანდებით ჟურნალისტებზე?**

— მიყვარან. ბევრმა მათგანმა კეთილშობილური პოზიცია დაიკავა, ისინი მუშა ფუტკრებს მაგონებენ, შუამავლები არიან საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. მე მათთან ურთიერთობა ყოველთვის მახარებს.

**— რას გვეტყვით სამომავლო გეგმებზე?**

გეგმაში მაქვს, თუ მოვასწარი, ჩემი ლექსების სრული კრებულის გამოცემა, მაგრამ ეს უკვე ჩემი ქვეყნის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, რასაც ყველანი ვნატრობთ.

ესაუბრა **ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენსაცია!

# მამა ძუძუს აწოვებს



**რეპორტიორებმა აღმოაჩინეს, მეცნიერებმა დაადასტურეს: ნამდვილად აწოვებს!**

„ცოლი მშობიარობას გადაჰყვა. ახლა ჩემს ორ ტყუპ ბიჭს თვითონ ვაწოვებ ძუძუს“. ეს სტრიქონები ვრცელი წერილიდანაა, რომელიც რედაქციაში თითქმის არავინ დაიჯერა და მაინც გადავწყვიტეთ, გავმგზავრებულიყავით მითითებულ მისამართზე, რუსეთის ერთ-ერთ სოფელში.

ბომბორა ძაღლის ყეფაზე ჭიშკართან ხანშიშესული ქალი გამოგვეგება და შინ შეგვიძღვა.

სახლის პატრონი ოლეგი, ოცდაათი წლის ბეჭებფართო, ჩადგმული ვაჟკაცი ბავშვს საფენებს უცვლიდა. მეორე ჩვილი იქვე საწოლში წყნარად იწვა.

**ოლეგი:** რედაქციიდან ხარ? არ მეგონა თუ ჩამოხვიდოდით. ასეთ რამეს ვინ დაიჯერებს? მე კი დღემდე ვაწოვებ.

**კორესპონდენტი: როდის და როგორ დაიწყო ეს ამბავი?**

**ოლეგი:** ცოლის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ. დედაჩემი გადაიქანცა, მთელი სახლი მაგაზეა: საფენები, სადილი, ბავშვები, სარეცხი, ახალგაზრდაც აღარაა, 75 წლის ხდება.

ერთხელ ღამით ბავშვები ატირდნენ. დედაჩემს ეძინა. შემეცოდა, ვერ გავაღვიძე. ავიყვანე ხელში ბავშვები. დავდივარ, ვანანავებ, ყვირილს უფრო მოუმატეს. გამახსენდა, რომ დედაჩემი მატყუარა საწოვრის მაგიერ ხანდახან ძუძუს ჩრიდა პირში და ისინიც წყნარდებოდნენ. ავიყვანე ერთ-ერთი და ძუძუს თავი ჩავუდე პირში, იქნებ დაწყნარდეს და მერე მეორეს მივხედავ-მეთქი. მგელივით მეცა, ნუნუები ისე მომიჭირა, რომ მატკინა, მაგრამ ვითმენ, იქნებ დაწყნარდეს. ცოტა ხანში ვიგრძენი, რომ მარტო კი არ წოვს, არამედ ყლაპავს კიდეც რაღაცას და სიამოვნებითაც, პირი კი რძითა აქვს სავსე... კინაღამ გავგიჟდი კაცი... ავიყვანე მეორე ბავშვიც, იმასაც მოვაწოვე.

ბავშვები დაწყნარდნენ და დაიძინეს. მეორე ღამესაც ასე გაგრძელდა, მესამესაც. ერთხელ დედაჩემმა დამინახა (არ მინდოდა მეთქვა) და ატირდა.

**კორესპონდენტი: თქვენს გარეგნობას ეს გარემოება არ დასტყობია.**

ოლეგი ადგა, მაისური გადაიძრო. მკერდი სხვა „არამაწოვებელ“ მამაკაცებთან შედარებით განვითარებული ჰქონდა. ცოტა ჩასუქებულიც იყო, მაგრამ მისი ამბავი რომ არ გვცოდნოდა, გარეგნობაზე ვერაფერს შევატყობდით.

**ოლეგი:** მე რომ ბავშვებს ძუძუს ვაწოვებ, არ მეტყობა და კარგიც არის, ამის შესახებ სოფელში არავისთვის გვითქვამს. რძეც, ეტყობა, იმდენი არა მაქვს. მით უფრო, რომ მხოლოდ ღამით ვაწოვებ. დედა ტირილით მეხვეწება: ექიმთან წადიო, მაგრამ მე არ ვშვები. სოფელში დამცინებენ, ან შესწავლას დამიწყებენ. თავს ნორმალურად ვგრძნობ, არაფერი მაწუხებს — ე. ი. ექიმთან წასვლა საჭირო არ არის. გარდა ამისა, ბავშვებს მარტო დედაჩემთან ხომ ვერ დავტოვებ?

**კორესპონდენტი: კიდევ დიდხანს აპირებთ აწოვოთ ბავშვებს?**

**ოლეგი:** ყოველ ღამე ვეუბნები ჩემს თავს: მორჩა, მეტს აღარ მივცემ, მაგრამ ატირდებიან ბავშვები და როგორღაც თავისთავად გამოდის, რომ უნდა მოვაწოვო, თან ბოთლებსა და საწოვარებთან ჯახირიც მეზარება. ასი უფრო მეადვილება. ახლა ბიჭები სამი თვისანი არიან.

**კორესპონდენტი: ხელახლა დაქორწინებას არ აპირებთ? მაშინ ხომ ცოტათი შეგიმსუბუქდებათ მდგომარეობა?**

**ოლეგი:** სიმართლეს თუ ვიტყვი, კი მიფიქრია ამაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ შემიძლია. მე ხომ ცოლი ძალიან მიყვარდა. მისი სიკვდილის შემდეგ არც არავის შევხვედრივარ. გარდა ამისა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეშინია კიდეც. უცებ რომ გაიგოს ვინმემ, რომ ისეთი არა ვარ, როგორც ყველა. როცა თავდაღმა მძინავს, დილით ზეწარი რძისაგან სველდება.

**კორესპონდენტი: ჩვენ რითი შეგვიძლია დაგეხმაროთ?**

**ოლეგი:** ვინმესთვის ხომ უნდა გამეზიარებინა, უბრალოდ არ ვიცი, რა ვქნა. ექიმთან მისვლას ვერიდები, აი, თქვენ რომ მეტყოდეთ სპეციალისტს, მეცოდინებოდა მაინც, რა მელის. ვაი, თუ ეს რძე მთელი სიცოცხლე მექნა ან მკერდი გამეზარდა.

...სოფლიდან აღელვებულები ვბრუნდებოდით. მართლაც და რას იტყვიან პროფესიონალები ამ გასაოცარ ამბავზე?

— ვფიქრობთ, ლაქტაციის (რძის გამოყოფის) მიზეზი არის ძლიერი სტრესი, რაც ოლეგმა ცოლის გარდაცვალების გამო განიცადა, — გვითხრა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ტატიანა კონკოვამ, — ამ სტრესმა თავის მხრივ გამოიწვია ენდოკრინული ძვრები მამაკაცის ორგანიზმში — პროლაქტინის ჰორმონების გამოყოფა. ლაქტაცია, ჩანს, მაშინვე არ დაწყებულა, არამედ სტრესის განცდიდან ათიოდე დღის შემდეგ. ჩვეულებრივი სტერეოტიპია. თუ ქალის ძუძუ რძით ივსება, ე. ი. ამ მოვლენას წინ უძღოდა მშობიარობა და იგულისხმება, ქალიც ახალგაზრდაა. მაგრამ, ცნობილია შემთხვევები, როცა ჩვილს ძუძუს აწოვებდნენ ასაკოვანი ბებიები. ასეთი გადმოცემები მრავალი ხალხის ზეპირსიტყვიერებაშია.

**—მაგრამ ჩვენ შემთხვევაში საქმე ხომ მამაკაცთან გვაქვს.**

— ეს გასაოცარია, მაგრამ ახსნა შეიძლება. სარძევე ჯირკვლები კაცს თითქმის ისევე აქვს მოწყობილი, როგორც ქალს. ზოგჯერ ახალდაბადებულ ბიჭებს ძუძუ უსივდებათ და იქიდან რძის მსგავსი სითხე გადმოსდით. თუმცა კაცის მკერდის ჯირკვლები ქალის სასქესო ჰორმონის (ესტროგენის) არარსებობისას არ ვითარდება. მაგრამ მამაკაცის ორგანიზმში იშვიათი ჰორმონალური დარღვევებისას სარძევე ჯირკვლები რძის გამოყოფას იწყებს.

ასეთი კურიოზები ცხოველთა შორისაც გვხვდება. აღრიცხულია შემთხვევა, როცა ხარმა გამოკვება თავისი ხბო. საერთოდ, მამაკაცის რძე უფრო სქელი და ტკბილია.

**— მაგრამ, რატომ არის, რომ ამ მოვლენის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. ნუთუ ამ ფენომენს არ იკვლევენ?**

— პირიქით, ეს მოვლენა კარგად არის შესწავლილი, მაგრამ რადგან ლაქტაცია მამაკაცებში პათოლოგიურ ხასიათს ატარებს, მას მალავენ. თქვენ ბედმა გაგიღიმათ, რომ ოლეგმა ყველაფერი გულახდილად გიამბოთ და კარგადაც მოიქცა. ოლეგს, სურს თუ არა, მაინც უნდა გამოიკვლიონ, რადგან ლაქტაციის მიზეზი შეიძლება იყოს ტვინის იმ უჯრედების სერიოზული დაზიანება, რომლებსაც აკისრიათ რძის გამომუშავებაზე პასუხისმგებლობა. ეს უფრო ხშირად ჰიპოფიზის სიმსივნე შეიძლება იყოს. პათოლოგიური ლაქტაცია შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი პრეპარატის (ჰორმონების, საძილე პრეპარატების, ნარკოტიკების) ხანგრძლივად მიღებამ, ზოგჯერ ვფიქრობ, ოლეგის შემთხვევაშიც იგი ძლიერი სტრესის შედეგი იყოს.

**— რა ვურჩიოთ ოლეგს?**

— აუცილებლად სამედიცინო გამოკვლევა, რადგან გამორიცხული არ არის ჰიპოფიზის სიმსივნე ან სხვა დარღვევა. თუმცაღა მე ვფიქრობ, აქ სტრესთან გვაქვს საქმე და ოლეგს რძე შეუწყდება, როცა ძუძუს წოვებას თავს დაანებებს.

**— შეიძლება თუ არა დავუშვათ, თუნდაც თეორიულად, რომ ყველა კაცს შეუძლია ძუძუ აწოვოს ჩვილს?**

— ტექნიკურად ეს შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა მის ორგანიზმში დიდი დოზით ესტროგენის შეყვანა, რამაც შეიძლება დამღუპველად იმოქმედოს მამაკაცზე.

თანაც კაცის ძიძად გადაქცევის აუცილებლობა არ არის და არც იქნება. ბუნებამ სქესთა შორის მოვალეობანი ბრძნულად გაანაწილა და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მისი შეცვლა.

**დ. სერგეევი**
**ი. მირონოვი**

**გაზეთი „სპიდ ინფო", 1997 წლის მაისი.**

## აქეთური-იქითური

### მიტოვებულთა კლუბი

ჰოლივუდში მოქმედებს ოდესღაც ცნობილი ქმრებისაგან მიტოვებული ცოლების კლუბი. კლუბს ჰქვია LADIS. აბრევიატურა ასე იშიფრება: ცხოვრება განქორწინების შემდეგ არც ისე ცუდია. კლუბში დადიან ჯერი ლიუმსის, მაიკლ ლენდონის, ტონი კერტისის, ერიკ ესტრადის და სხვა ცნობილ პიროვნებათა ყოფილი ცოლები.

ამ ქალებს აერთიანებთ ერთი რამ: ოდესღაც ისინი ფუფუნებაში იყვნენ ჩაფლულნი და თავისი ცნობილი ქმრების დიდების ორეოლში ნანაობდნენ, შემდეგ კი ქმრებმა ისინი უფრო ახალგაზრდა ქალებში გაცვალეს. მათმა უმრავლესობამ ქმრების ღალატის შესახებ გაზეთების მყვირალა სათაურებით შეიტყო.

ერთმანეთის საზოგადოებაში ისინი ურთიერთმხარდაჭერას და ნუგეშს პოულობენ, რადგან მხოლოდ მათ იციან, რას ნიშნავს „გახმაურებული განქორწინება".

**„სანი".**

### 10-დან ყოველი 8 ჩხუბობს

ყოველი 10 ახალდაქორწინებული წყვილიდან 8, როგორც წესი, თაფლობის თვეში ისე ჩხუბობს, როგორც ძაღლი და კატა.

თუ თქვენ ამ პერიოდში იჩხუბეთ, ნუ დაღონდებით, არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი. თითქმის ყველა ახალდაქორწინებულს მოუვიდა ამ დროს კარგა გვარიანი შელაპარაკება.

ერთ-ერთი საოჯახო ჟურნალის მონაცემებით წყვილებმა აღიარეს, რომ თაფლობის თვის დროს სერიოზულად ჩხუბობდნენ. თავისთავად ჩხუბი არასახიამოვნო ფაქტია, მაგრამ სასაცილოა ჩხუბის გამომწვევი მიზეზები: თურმე ქმრები... სხვა ქალებისაკენ აპარებდნენ მზერას, ცოლები კი ძალიან ხშირად უხმობდნენ დედას.

„ვსემირნიე ნოვოსტი"

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ✻ მაიაკოვსკის ბედის რჩეული ✻



შემოდგომის ღრუბლიანი დღეა. სიყვითლეშეპარულ მინდვრებს რაღაც იდუმალი ელფერი გადაჰკრავთ. ძალიან ლამაზია მოსკოვის შემოგარენი ამ დროს. აქ, ზვენიგოროდის მიდამოებში მიმობნეულია ფერფლი საოცარი ქალისა, რომელსაც სიკვდილის შემდეგ საფლავის ქვაც კი არ დარჩა — თავად ისურვა ასე — სამაგიეროდ იგი უკვდავყოფილია პოეზიაში, მუსიკაში, ფერწერაში, რუსული ავანგარდის ისტორიაში.

მას ლილია ბრიკი ერქვა.

ცნობილი რუსი პოეტების გვერდით ხშირადახსენებენ ქალებს, მათი პოეზიის შთაგონების წყაროს. ჯერ მარტო პუშკინის ნატალი და ლერმონტოვის იდუმალი ნ. ფ. ი. ბლოკის ლიუბოვ მენდელეევა და მაიაკოვსკის ლილია ბრიკი რად ღირს!

ბორის პასტერნაკი ერთ წერილში აღნიშნავდა: „იყო ქალი — დიდი ნაბიჯია, გონება დაუბნელო მამაკაცს — უდიდესი გმირობა“. მარინა ცვეტაევა კი დარწმუნებული იყო: „ლექსის წერაზე უფრო დიდი ღვთის წყალობა ლექსის შთაგონებაა“.

სწორედ ასეთი ადამიანი იყო ლილია ბრიკი — ქალი — მუზა, ქალი საოცრება, მამაკაცის სათაყვანებელი კერპი. ასეთად შევიდა იგი მაიაკოვსკის ცხოვრებაში გაცნობის პირველი დღიდან და ასე დარჩა სამუდამოდ.

მაიაკოვსკისა და ლილია ბრიკის ურთიერთობა პოეტის სიცოცხლეში და შემდეგაც, არა მარტო მოცლილ მოლაყბეთა მსჯელობის საგანი იყო, არამედ სერიოზულ კრიტიკოსთა ინტერესსაც წარმოადგენდა. მათი არაორდინარული ურთიერთობა უკეთეს შემთხვევაში გაუგებრობას იწვევდა, უფრო ხშირად კი — ზიზღიან ირონიულ მზერას. სწორედ ამის გამო მრავალჯერ იყო მცდელობა პოეტის ბიოგრაფიის გადაკეთებისა, რათა სამუდამოდ ამოეშალათ ეს სამარცხვინო სიყვარული“.

მაიაკოვსკისა და ლილია ბრიკის ურთიერთობას მხოლოდ სიყვარული არ ეთქმოდა. ეს იყო რაღაც საოცარი, თავზარდამცემი ვნება, სიყვარული — ტანჯვა, სიყვარული — ლეგენდა.

„ყოველგვარი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად — იგონებდა ლ. ბრიკი, — მე უკვე ერთი წლის მანძილზე აღარ ვიყავი ჩემი მეუღლის ოსიპ მაქსიმოვიჩ ბრიკის თანამეცხედრე, როცა ჩემი ცხოვრება ვლადიმერ მაიაკოვსკის დავუკავშირე. ყოველგვარ „menage a trois“-ზეც კი ზედმეტი იყო ლაპარაკი. როცა ბრიკს ჩემი სიყვარულის შესახებ მოვუთხრე, მან მშვიდად მიპასუხა: „ძალიან კარგად მესმის შენი, მაგრამ მოდი, ნუ დავშორდებით ერთმანეთს“. ამას იმიტომ ვწერ, რომ ყველასათვის გასაგები იყოს ყველაფერი“.

ისინი ერთად ცხოვრობდნენ მაიაკოვსკის სიცოცხლის ბოლომდე. ეს იყო თანამოაზრეთა კავშირი. მათ საკუთარი ინტიმური ცხოვრება ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ეს „სამთა კავშირი“ არ ეთანხმებოდა საზოგადოებაში გამეფებულ პურიტანულ შეხედულებებს, მაგრამ, რაც მთავარია ხელს აძლევდათ ამ კავშირის წევრებს.

ჩვენ არასოდეს მოგვიშორებია თითიდან ერთმანეთისადმი მიძღვნილი ბეჭდები — ჰყვებოდა ლ. ბრიკი — ჩემს ბეჭედზე ვალოდიამ ამოატვიფრინა სამი ასო Л. Ю. Б. წრიულად რომ კითხულობდით, დაუსრულებლად გამოდიოდა ЛЮБЛЮБЛЮБЛЮБЛЮБЛЮ შიგნიდან კი „ვალოდია“. მის ბეჭედს მე ლათინური ასოები XX შევუკვეთე და დავაწერე „ლილია“.

როცა საბჭოთა ადამიანებისათვის ოქროს სამკაულების ტარება რატომღაც მეშჩანობად და სამარცხვინოდ ჩაითვალა, მაიაკოვსკის სხვადასხვა შეხვედრებზე და გამოსვლებზე გამკიცხავ ბარათებს უგზავნიდნენ: „ამხ! მაიაკოვსკი! არ შეგეფერებათ ეგ ბეჭედი“. თავიდან ვალოდია წინააღმდეგობას უწევდა საზოგადოებრივ აზრს, მაგრამ ბოლოს მაინც გახდა იძულებული თითიდან მოეძრო და გასაღებების აცმაზე დაემაგრებინა.

იმ საღამოს, როცა იგი სოკოლნიკებიდან ამერიკაში მიემგზავრებოდა, გასაღები მაგიდაზე დარჩა და მხოლოდ სადგურზე გაახსენდა, რომ მასთან ერთად ბეჭედიც იქ დატოვა. მატარებელზე დაგვიანებისა და ვიზების გაუქმების დიდი რისკის მიუხედავად, თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა უკან. მისთვის მხოლოდ ერთი იყო მთავარი — უბეჭდოდ გამგზავრება ცუდის მომასწავებელია.

ზევრჯერ დამდგარა ვალოდია მისი დაკარგვის საშიშროების წინაშე — პუშკინოში მდინარის ფსკერზე ჩაუვარდა და სანამ არ ამოიღო, ვერ მოისვენა, ლენინგრადში ღამით ტროიცკის ხიდზე თოვლში დაეკარგა. მთელ ღამეს ეძებდა და მაინც იპოვა“.

თვითმხილველნი აღწერენ მათ საოცარ, თბილ, მზრუნველ ურთიერთობას, უცხო თვალისათვის შესაძლოა სასაცილოსაც. ისე არ გავიდოდნენ სახლიდან, რომ ერთმანეთისათვის მონატრების ბარათი არ დაეტოვებინათ, რომელსაც ბოლოში აუცილებლად ჰქონდა მიხატული ლეკვი (ვალოდია) ან კნუტი (ლილია).

ეს საოცარი, ერთადერთი სიყვარული მაიაკოვსკიმ თავის პოეზიაში გადაიტანა და მისი თხზულებათა ყველა კრებული მხოლოდ ლილიას — Л. Ю. Б.-ს ეძღვნებოდა.

...მათ განშორებას ყოველთვის დიდი სიყვარულით აღსავსე ბარათები ავსებდა, რომელიც დაუყოვნებლივ ითხოვდა პასუხს. აი, ერთი მათგანი, 1924 წელს პარიზიდან გამოგზავნილი. მაიაკოვსკი სასტუმრო „ისტრაში“ ცხოვრობდა ლილიას დის, ცნობილი ფრანგი მწერლისა და მთარგმნელის ელზა ტრიოლეს მეზობლად:

„ძვირფასო. საყვარელო ლილია! როგორ ვარ, როგორ ვცხოვრობ? თავად არ ვიცი. სულ ვდარდობ, ცრემლებამდე მენატრები და სულ არ მაინტერესებს აქ რა ხდება... მენატრები საოცრად, თსაკაც კი... (ლ. ბ-ს მეუღლე). ყოველთვის, როცა ელზას საუბარში შენს ინტონაციას ვიჭერ, პირდაპირ სევდიან, სენტიმენტალურ მარაზმში ვვარდები. კარგა ხანია, ასეთი ულმობელი წერილები არ მიწერია, მარამ რა ვქნა, ჯერ ერთი—არავითარი ლიტერატურული გეგმები არა მაქვს და მეორეც — არაფერი მახარებს ცხოვრებაში. მომწერე, ჩემო ძვირფასო... ელზას შენი წერილი მოვპარე და ჩემოდანში დავმალე. ჩემი უბადრუკი ლექსებითაც კი ვერ გადმოვცემ, ისე მენატრებით ყველა. ლილიკ, ძვირფასო, გევედრები, მიპასუხე წერილითაც და დეპეშითაც“.

ლილიას და — ელზა ტრიოლე ლუი არაგონის მეუღლე გახლდათ. დებს დიდი წვლილი მიუძღვით ორი ქვეყნის კულტურის დაახლოებაში. მათი მიმოწერა ნახევარ საუკუნეს გრძელდებოდა და ამ წერილებში ჩვენს თვალწინ ცოცხლდება არაგონი და მაიაკოვსკი, პიკასო და მატისი, მკლოვსკი და სიმონოვი, ნერუდა და ცვეტაევა...

1952 წლის აგვისტოში ელზა წერდა დას: „...დღე და ღამ ვალოდიას ვთარგმნი. ძალიან დავაგვიანე და ვჩქარობ დროზე მივაწოდო კრებული წიგნის ბაზარს.

საინტერესოა თუ არა ვალოდიას თარგმნა? ისეთი სიყვარულით ვმუშაობ, ისე მეწურება გული თარგმანით შეცვლილ თითოეულ პწკარზე, თითქოს შეუხორცებელი იარა მქონდეს. ნეტავ რას იტყოდა ვალოდია ამაზე — ერთგულებაში ჩამითვლიდა თუ სასაცილოდ აიგდებდა მის პოეზიასთან შედარებით ამ ჩემს უბადრუკ მცდელობას?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა





...მრავალ ღირსებასთან ერთად ლილია ბრიკს უნაკლო გემოვნება ჰქონდა. მის აზრს ბევრი უწევდა ანგარიშს და რჩევასაც ეკითხებოდნენ. მაიაკოვსკი საოცრად ენდობოდა. „ლილია ყოველთვის მართალია“, — ამტკიცებდა იგი. „მაშინაც, თუ იტყვის, რომ კარადა ჭერშია?“ — ეკითხებოდა ასეევი. „თუ კარადა მეორე სართულზეა, მაშინ პირველი სართულის პოზიციიდან, რა თქმა უნდა, ჭერშია“, — პასუხობდა მაიაკოვსკი.

აი, რატომ არ იხრიდა ქედს და ინახავდა მაიაკოვსკისადმი უსაზღვრო ერთგულებას. ამისთვის თავადვე იჩაგრებოდა: მიაწერეს ისეთი ცოდვები, რაც არ ჩაუდენია. მის სახელს შლიდნენ წიგნებიდან, ყოველ სურათზე, სადაც ის მაიაკოვსკისთან ერთად იყო, ქალის გამოსახულება ქრებოდა.

ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალების შემდეგ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი დიდი გენერლის ვ. მ. პრიმაკოვის მეუღლე გახდა, რომელიც ხალხის მტრად შერაცხეს და 1937 წელს დახვრიტეს. აი, მაშინ კი საბოლოოდ გააცამტვერეს ლილია ბრიკი. გააუქმეს მასთან დადებული ყველა ხელშეკრულება და მაიაკოვსკის წიგნების რედაქტირების უფლებაც კი ჩამოართვეს. ეს იყო ყველაზე დიდი ტრაგედია, რადგან მაიაკოვსკიმ მთელი თავისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მხოლოდ ლილია და ოსიპ ბრიკებს დაუტოვა.

ეს საშინელი დისკრიმინაცია მთელი ცხოვრება გრძელდებოდა, მაგრამ 86 წლის ასაკშიც იგი არ ნებდებოდა და რჩებოდა ისეთად, როგორიც იყო მთელი ცხოვრება. სხვაგვარად არც შეეძლო. ის გათელეს, გამოჰყავდათ წყობიდან, აყენებდნენ შეურაცხყოფას, ამცირებდნენ. ებრძოდნენ, მაგრამ ვერ დაამარცხეს.

რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ იგი მხოლოდ მაიაკოვსკის ეპოქაში ცხოვრობდა, რომ მხოლოდ იმ პერიოდს ეკუთვნის მისი სახელი. არა, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე იმისთვის შემოინახა, რომ დღემდე უკვდავეყო დიდი პოეტის სახელი და სხვა მრავალი შემოქმედიც დაეყენებინა სწორ გზაზე.

არსებობს მთელი პლეადა პიროვნებებისა ლ. ბრიკმა რომ „აღმოაჩინა“: გლაზკოვი, ვოზნესენსკი, პლისეცკაია, შჩედრინი, ბულატ ოკუჯავა, ფარაჯანოვი... მას დიდი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა მრავალ ადამიანთან: მიქაელ ტარივერდიევი მაიაკოვსკის ლექსებზე შექმნილ მის რომანსებს მღეროდა (ეს რომანსები დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს), ფრანგი ბალეტმეისტერი როლან პეტი მოსკოვში ყოფნისას ყოველ საღამოს მასთან ატარებდა. თავად ლილია ბრიკიც ერთ დროს კლასიკური ცეკვებით იყო გატაცებული.

პეტის ბალეტში „აანთეთ ვარსკვლავები“ არის დიდი ადაჟიო — ლილია და მაიაკოვსკი. მათი შორეული და უკვდავი სიყვარული გახდა ამ ბალეტის შექმნის საფუძველი (სამწუხაროდ, იმ დროს საბჭოთა მთავრობამ აუკრძალა როლან პეტის ამ სპექტაკლის მოსკოვში ჩამოტანა).



...თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ყოველგვარი ცვლილებებითა და ბედის უკუღმართობებით, ლილია ბრიკმა ღირსეულად, „რჩეული ადამიანის“ ნიშნით განვლო. რა დასამალია და, იგი მართლაც რჩეული იყო, მაიაკოვსკის ბედის რჩეული, ქალი ერთადერთი და განუმეორებელი.

ვასილ კატანიანი,
ჟურნალი „ონა“
თარგმნა მ. იმესაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფირმა „ბორჯი" ახალ პრეპარატებს გვპირდება

**კარგა ხანია ჩვენში და არა მარტო ჩვენში, დიდი პოპულარობით სარგებლობს უნივერსალური, ანტისეპტიკური მალამო „ფიტომალი". ამ ბოლო დროს კი გამოჩნდა ანტისეპტიკური ხსნარი — „ფიტოსოლი".**

**პრეპარატებს ამზადებს სამედიცინო ფირმა „ბორჯი".**

**ვესაუბრებით ერთ-ერთ ავტორს — ბატონ ამირან კვარაცხელიას.**

**— ბატონო ამირან, როგორც „ფიტომალის" ბუკლეტიდან ვიგებთ, მალამო კურნავს ბევრ დაავადებას. რითია განპირობებული „ფიტომალის" ასეთი უნივერსალურობა?**

— ეს ვრცელი თემაა და ვეცდები მოკლედ მოგახსენოთ. ცნობილია, რომ მცენარეებს სხვადასხვა სამკურნალო ინგრედიენტებთან ერთად გააჩნია ძლიერი სასიცოცხლო ძალა, რაც მეცნიერულად დადასტურებულია. „ფიტომალის" დამზადებისას შევეცადეთ, რომ მცენარეთა მოპოვებისა და პრეპარატად გარდაქმნის პერიოდამდე, სასიცოცხლო ძალა მაქსიმალურად შეგვენარჩუნებინა. ეს მოვახერხეთ კომპლექსური მიდგომით, თუმცა ამის მიღწევას რთული ტექნოლოგიური პროცესი დასჭირდა. მიუხედავად ამისა, ძალიან კმაყოფილი ვართ, რადგანაც შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. სწორედ ამან განაპირობა, რომ „ფიტომალი" წარმატებით გამოიყენება დაზიანებული კანისა და ლორწოვანი გარსის, ხანგრძლივი შეუხორცებელი, სხვადასხვა ინფიცირებული წყლულებისა და ჭრილობების (ტრავმები, დამწვრობა, ნაწოლები და სხვა) სამკურნალოდ. მალამო აძლიერებს ქსოვილთა რეპარაციის უნარს და ხელს უწყობს ჭრილობიდან ნეკროზული უბნების მოცილებას. იხმარება დაჟეჟილობის, იოგების დაჭიმვის, ანთებითი შეშუპების, რადიკულიტის, სამწვერა ნერვის ნევრალგიის, ყურის ანთების, პარადონტოზის დროს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის დადებით შედეგებზე გინეკოლოგიაში.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: მრავალი პაციენტი კმაყოფილებას გამოთქვამს იმ დადებით მოქმედებაზე, რასაც იძლევა მალამო თირკმლისა თუ ნაღვლის ბუშტის ანთებისას მისი გარედან შეზელვით (თუმცა ამას ბუკლეტში არ მივუთითებთ). ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მალამოს გამჭოლი ზემოქმედების უნარი გააჩნია, რაც სწორედ ზემოთაღნიშნულ სასიცოცხლო ძალთა მოქმედების შედეგია. მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ალბათ, საკმარისია, რადგანაც ეს სერიოზულ შესწავლას მოითხოვს, რაც მომავლის საქმეა და ჩვენ ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას.

**— იქნებ ამის გამოა, რომ „ფიტომალს" ზოგი „სასწაულმოქმედს" ეძახის, ზოგი — „უკვდავების მალამოს".**

— უკვდავებაზე რა მოგახსენოთ; ერთი კი ცხადია, „ფიტომალი" პანაცეა არ არის. შეუძლებელია, ერთი პრეპარატი ყველაფერს კურნავდეს და თანაც ერთნაირი წარმატებით. თუმცა უნდა გითხრათ, რომ ექიმები და პაციენტები ხშირად აღნიშნავენ „ფიტომალის" სასწაულებრივ შედეგებს. ამასთან, გვქონია შემთხვევა, როცა მალამოთი მკურნალობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია — თურმე ადგილი ჰქონდა მალამოს არასწორ ხმარებას. ასეც ხდება ხოლმე. „ფიტომალის" მომხმარებელს მინდა ვურჩიო, ყურადღებით გაეცნონ ბუკლეტში მითითებულ რჩევებს, სადაც აღნიშნულია, რომ ცალკეულ დაავადებათა მკურნალობისას, საჭიროა ექიმის მეთვალყურეობა. ეს ეხება განსაკუთრებით ჭრილობებსა და მესამე ხარისხის დამწვრობას, როცა საჭიროა მათი დამუშავება, რაც აუცილებლად სპეციალისტის ჩარევით უნდა მოხდეს.

**— რადგანაც პაციენტები ახსენეთ, მათთვის მტკივნეულ ერთ საკითხსაც უნდა შევეხოთ. მალამოს ფასი სხვადასხვა აფთიაქში სხვადასხვანაირია. რითაა ეს გამოწვეული?**

— მე მესმის, რომ მოსახლეობას ძალიან უჭირს, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, მალამოს დამზადება რთული ტექნოლოგიური პროცესია. ამიტომ თვითღირებულებაც შესაბამისად მაღალია. ამას დაუმატეთ გადასახადები და თქვენთვის ყველაფერი ნათელი იქნება. მიუხედავად ამისა, საბითუმო აფთიაქებს მალამოს ვაბარებთ 2 ლარად და 25 თეთრად, რის შემდეგაც ჩვენ უკვე ველარ ვაკონტროლებთ. ეს საბაზრო ეკონომიკის კანონია.

**— რას ნიშნავს „ბორჯი" და „ფიტომალი"?**

— ბორჯი ფესვებს ნიშნავს ძველ ქართულში, ფიტომალი — მცენარეულ მალამოს. Fito — ლათინური სიტყვაა და მცენარეს ნიშნავს, მალი კი — მალამოს შემოკლებული ფორმაა.

**— რამდენ ხანს ინახება „ფიტომალი“ და „ფიტოსოლი“ და თუ აქვს უკუჩვენება?**

— ჩვენდა საბედნიეროდ, უკუჩვენება არა აქვს. მალამოს შენახვის ვადა 2 წელია, ინახება ბნელსა და გრილ ადგილას, ხოლო ხსნარი მხოლოდ 6 თვეს ინახება.

**— ახალ პრეპარატებს თუ გვპირდება სამედიცინო ფირმა „ბორჯი“?**

— კარგია, რომ ამ საკითხს შეეხეთ. დიდი ხანი არ არის, რაც ხსნარ „ფიტომალის“ წარმოება დავიწყეთ და უკვე საკმაო მოწონებით სარგებლობს. სულ მალე აფთიაქებს მივაწვდით ჰომეოპათიურ პრეპარატებს შემდეგ დაავადებებზე: ქოლეცესტიტი (ნაღვლის ბუშტის ანთება), სხვადასხვა სახის ნევროზები, ალერგია, ჩირქოვანი და არაჩირქოვანი ანგინა და სხვა. კვლევის პროცესშია ჩვენი ფირმის მიერ წარმოებული ახალი პრეპარატები ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა: ართრიტი, თირკმლის კენჭოვანი დაავადება, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, ბუასილი. მოგეხსენებათ, ახალი პრეპარატის დანერგვა ხანგრძლივი პროცესია და როცა ის ჩათავდება, ვფიქრობთ, ჩვენი პაციენტები კმაყოფილი დარჩებიან, ვინაიდან პირველი შედეგები იმედისმომცემია. ასე რომ, უნდა დაველოდოთ შედეგებს.

**— მაინც რამდენი დრო დასჭირდება და როდის ველოდოთ ახალ პრეპარატებს?**

— ცხადია, ყველა პრეპარატზე შეუძლებელია კვლევის პროცესი ერთდროულად დამთავრდეს. ვფიქრობთ, 1-2 წელი საკმარისი იქნება.

* * *

**თუ ახალმა პრეპარატებმა ისეთი შედეგები აჩვენა, როგორც „ფიტომალმა“ და „ფიტოსოლმა“, მოუთმენლად დაველოდებით მათ დამზადებას...**

ესაუბრა
**ირმა ჩოფიკაშვილი**

# ახალ ტანსაცმელს საპნიანი წყლით ჩამოირეცხავთ

**ევროპული მოდის ინდუსტრიის ყველაზე უფრო ექსცენტრიული და გონებამახვილური სიახლე, ტანსაცმელი, რომელიც ქაღალდის ბოჭკოსაგან მზადდება, ღირს საოცრად იაფი და როცა მოგბეზრდებათ... შხაპით ჩამოირეცხავთ.**



თქვენ აღარ გჭირდებათ მომაბეზრებელი რეცხვა. გოგონებს შეუძლიათ ტანსაცმელი პირდაპირ საპნიანი წყლით ჩამოირეცხონ.

დიახ, საოცარია, მაგრამ ეს ასეა! ახალი ტანსაცმელი ქაღალდის ბოჭკოებისაგან მზადდება, მგრძნობიარეა საპნის მიმართ, შეგიძლიათ პირდაპირ აბაზანაში ჩამოირეცხოთ, მაგრამ ნუ შეშინდებით, წყალი ვერაფერს დააკლებს.

ასეთი ტანსაცმელი მეტად იაფი ღირს და მსურველს შეუძლია ათობით ხელი სხვადასხვანაირი ჩასაცმელი შეიძინოს იმ თანხით, ადრე ერთი ხელი ტანსაცმლისათვის რომ იხოგავდა.

ასეთი ჩასაცმელი მხოლოდ ერთი-ორი ხმარებისთვისაა განკუთვნილი, შემდეგ სხვა უნდა შეიძინოთ, ამიტომ შეგიძლიათ სულ მოდურად გამოიყურებოდეთ.

ამ ტიპის საქონელი თაროებზე არ ჩერდება, რადგანაც მოდის უკანასკნელ გამოძახილს ეხმაურება — ამბობს ლუიჯი პონტე — იმ მაღაზიის მეპატრონე რომში, სადაც სპეციალური განყოფილებაა ასეთი ტანსაცმლისათვის. — ტანსაცმელი ჩვეულებრივ სამოსს ჰგავს, მოდური და ძალიან ლამაზია, მომხმარებელს მოსწონს, რადგან იაფი და მოსახერხებელია. კაბა სულ ორი დოლარი ღირს და ორჯერ შეიძლება მისი ჩაცმა. მოგბეზრდებათ და რეცხვაც არ სჭირდება — პირდაპირ შხაპის ქვეშ დადექით.

ასეთი ტანსაცმლის შექმნის იდეა გერმანელ დიზაინერს ერლრენ რახშტაიგს დაებადა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ როკ-კონცერტზე შეიძინა იაფი პერანგი, რომელიც სამი გარეცხვის შემდეგ საერთოდ ველარ იპოვა სარეცხის მანქანაში.

ორი წლის შემდეგ ივლისში რახშტაიგის ფირმამ ტანსაცმლის პირველი პარტია დაამზადა — ეს იყო მინი-ქვედაბოლოები და მძივებით მოქარგული (სხვათაშორის მძივებიცა და ღილებიც ასევე ქრება საპნიან წყალში) ხავერდის სადამოს კაბები.

ტანსაცმელს საოცარი წარმატება ხვდა წილად და ერთ კვირაში სულ გაიყიდა. ახლა სამი ახლადდაარსებული ფაბრიკა ძლივს აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს.

— მე სულ ასეთ ტანსაცმელს ვყიდულობ, ამბობს 24 წლის გოგონა — საცვლებსაც კი ასეთს ვატარებ, დიდი ხანია აღარც ვრეცხავ და აღარც ვაუთოებ. მთელ დროს ჩემს გემოზე ვიყენებ.

„ვსემირნიე ნოვოსტი“

P. S. ყველაფერი სხვისი როგორ უნდა შეგშურდეს კაცს. ამ უფულობა, უშუქობა, უწყლობაში სულ საჩვენოდ არ უფიქრია იმ გერმანელ დიზაინერს?!

# საყმაწვილო გვერდი — ჭოლარა

ჟენია მამულაშვილი

## მეცოდება დედიკო

დედა მინდორში წავიდა
ჩაიცვა ჭრელი ხალათი,
მძინარე არ გამაღვიძა
და დამიტოვა ბარათი.

ქათმებს მიხედე, მურიას
გამოუცვალე წყალიო,
კრუხმა წიწილა არ მოკლას,
არ მოაცილო თვალიო.

სახლი ლამაზად დაგავე,
ჭურჭელი დააკრიალე,
მერე ფანჯრები გაალე,
ოთახი გაანიავე.

ჭუჭულებს წყალი ჩაუსხი,
ბოჩოლა ჩრდილში დააბი,
როცა სადილსაც მორჩები,
სარეცხის თოკი გააბი.

უთო ჩართული არ დაგრჩეს,
არ გააჩინო ხანძარი,
პურისთვის გაასუფთავე
ის ჩვენი დიდი ამბარი.

თავბრუ დამეხვა, ვიტირე,
ვერ მივხვდი, ასე გგონიათ?
მე მეცოდება დედიკო,
რამდენი საქმე ჰქონია.

## ია

იამ გამოთქვა სურვილი:
ავდგები, ტყეში წავალო,
ნაკადულს გავებუტები,
მე ყოჩივარდას და ვარო.

თეთრ თოვლზე ცისფერი კაბით,
ლამაზ დედოფალს ვგავარო,
ფაეტონს დაველოდები
და ტყის ნაპირზე გავალო.

მწვანე ბალახში ჩავჯდები,
კაბას დავბერტყავ ნამითა,
ლაჟვარდის ფერზე ავდგები,
რას დავაშავებ ამითა.

## მარტო იამ გაიგო

გაზაფხული რომ მოსულა
განა ყველამ გაიგო?
მარტო იამ ღობის ძირში
მწვანე ფარჩა დაიგო.

ბალახებში მოაბნია
ვარსკვლავები კრიალა,
მერე თვალი გაახილა,
ლურჯად აბრიალა.

ადრეულმა პატარძალმა
თავი მორცხვად დახარა,
მზის სხივებში განაბულმა
გაზაფხული გვახარა.

## კრუხი

ისე ავი გამოდგა
ჩვენი კრუხი ნაცარა,
კვერცხების გასწორება
ბებოს არცკი აცალა.

წიოკობით ჩაემხო
გამზადებულ ბუდეში
და კვერცხები ნისკარტით
შეიყარა ბუდეში.

გაიფხორა, გაბრაზდა,
თვალი დააბრიალა,
საბუდარზე გაკრულმა
ცოდვა დაატრიალა.

ყველა კვერცხი შეჭამა,
მერე იცით, რა მოხდა?
უსულგულო ქათამი
საბუდრიდან ამოხტა.

## ერთი — სად წავა ზამთარი?

მასხრად აგვიგდო ზამთარმა
თოვლი ხევებში დატოვა,
ციგას მარხილი შეახსნეს
ნიკამ, ლალიმ და ნატომა.

ცოცხი და წიფლის ჩიბუხი
საგულდაგულოდ დამალეს,
თოვლის ბაბუას ადგილზე
მშრალი ნახერხი დაყარეს.

ერთი — სად წავა ზამთარი,
მთა-მთა ბილიკს რომ დაჰყვება,
თუ გაბედა და მოვიდა,
ადგილი აღარ დახვდება.

მე ჩემს ჭიშკართან მურიას
დავაბამ გრძელი ჯაჭვითა,
თუ იძალავა ზამთარმა,
მოიგერიებს თათით .

## ქვევრში ბუბუნებს მაჭარი

როგორ ჩუხჩუხებს მაჭარი,
ქვევრში ბუბუნებს, ხმიანობს,
პაპა ყურს უგდებს, უყურებს,
მასხრობს და ენამზიანობს.

ბებომ დათვალა აცმები,
სათვალავს შეცდა თორმეტში,
ფქვილი გამოსცრა სამტკიცში,
რომ გამოაცხოს თონეში.

მთვარის მიმსგავსი შოთები
ხანჯლის პირებად აწყვია,
ვინ არ მიხვდება, ყველაფერს
რომ ბებოს ხელი ატყვია.

მალე გამშრალი ჩურჩხელა
ერთ სარზე გადაინაცვლებს,
ჩხებზე შემხმარი ჩამიჩი
ჩუმ-ჩუმად ჩამოიმარცვლებს.

## ტყუპები

ჩვენმა თხილმა მოისხა
სულ ტყუპ-ტყუპი თხილები,
ისე ჩამოამწკრივა,
როგორც მწვანე ღილები.

სიმწვანეში ჩაფლულმა
თხილი დიდხანს ახარა,
მერე გაკროლილები
კენჭებივით დაყარა.

ბებომ თხილი აკრიფა,
ტყუპ-ტყუპებად დათვალა,
მერე პარკით შეკრული
მაღლა სხვენში დამალა.

ჩვენც ტყუპებად ვიპარეთ
მე, თენგომ და მაიკომ,
ბებომ ბევრჯერ დათვალა,
ვერაფერი გაიგო.

# არის რაღაც მიმზიდველი „თეატრალურ სარდაფში"

დღეს „სარდაფის თეატრი" ბევრისთვის ალბათ უცნაურად ჟღერს, მაგრამ ძალიან ახლობელია ჩემი თაობისათვის. ორმოციან წლებში თბილისში, ვერაზე მცხოვრებმა ბავშვებმა თეატრის მოწყობა გადავწყვიტეთ. ვთამაშობდით სადარბაზოებსა და სარდაფებში. სამამულო ომის წლები იყო და რეპერტუარიც უმეტესად პატრიოტული გვქონდა. საინტერესო ის იყო, რომ პიესებს ერთი ავტორი კი არ ჰყავდა, არამედ კოლექტიური შრომის ნაყოფი იყო. ეს თამაში თეატრში სიარულის მოთხოვნას გვიკმაყოფილებდა.

როგორც კი შევიტყვე, რომ თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, საქინფორმის შენობის სარდაფში თეატრი ამუშავდა, მაშინვე მისკენ გავწიე. ადგილზე დამხვდა რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხსენებული თეატრი უკვე პროფესიონალთა შეხმატკბილებული კოლექტივია. ასეთი თეატრის დაარსება ამ ერთი წლის წინათ ავთანდილ ვარსიმაშვილს გიორგი ხარაბაძესთან ერთად სურდა თურმე, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩენილა. შემდგომი დაუღალავი ძიებით ამ შენობას მიაგნეს და საქინფორმის დირექტორმა ვახტანგ აბაშიძემ, უსასყიდლოდ დაუთმო ხსენებული სარდაფი ახალგაზრდებს. 1996 წლის ივლისიდან დაიწყეს სარდაფის სარემონტო სამუშაოები. დამონტაჟდა ელექტროგაყვანილობა, ჩაიდგა სკამები (ექვსი რიგი), მოინახა აპარატურა ხმაურის ეფექტების შესაქმნელად.

სარდაფის თეატრს ოთხი რეჟისორი ჰყავს: ავთანდილ ვარსიმაშვილი, ოთარ ეგაძე, გიორგი მარგველაშვილი და ლევან წულაძე. მხატვარია შოთა გლურჯიძე. თეატრალური დასი, როგორც ასეთი, არ არსებობს. არის მსახიობთა მოწვევის პრაქტიკა. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მთელი დასიც კი მოიწვიონ. სარდაფის თეატრში არც სპეციალური სარეპერტუარო პოლიტიკა არსებობს. აქ თავისუფალი სივრცეა და ნებისმიერი რეჟისორი მისი უშუალო ბატონ-პატრონია.

სარდაფის თეატრის პირველი სპექტაკლი შედგა 1997 წლის 31 მარტს, ნაჩვენები იყო „სიკვდილის როკვა". მოწვეულები იყვნენ: რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, ნანა ფაჩუაშვილი. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა, ხოლო მუსიკალური გაფორმება ეკუთვნოდა ვახტანგ კახიძეს. შემდეგი პრემიერა იყო „ორთა ბოდვა" (მსახიობები ნ. ბურდული, გ. როინიშვილი, ნ. შარია). სპექტაკლი დადგა ოთარ ეგაძემ. სცენაზე დეკორაციები და ბუტაფორია მინიმალურად რომ იყო გამოყენებული, სპექტაკლს ამით არაფერი დაშავებია, ვინაიდან მთლიანობაში სპექტაკლი ოსტატურად გახლდათ შეკრული, როგორც რეჟისორული ექსპლიკაციით, ასევე მსახიობთა მაღალპროფესიული შესრულებით.

სარდაფის თეატრს სპონსორი არ ჰყავს. იგი თვითდაფინანსებაზეა. აღსანიშნავია, რომ თეატრს, როგორც მისი მესვეურები ამბობენ, დემოკრატიულობა ახასიათებს. სპექტაკლზე დასწრების სისტემა ასეთია: ბილეთების ფასი პრესტიჟული მაყურებლისათვის 5 ლარია, სტუდენტებისათვის — 1, ხოლო კოლეგების დასწრება უფასოა.

ივნისის ბოლოს თეატრალური სეზონი დაიხურა. დახურამდე ნაჩვენები იყო თომას მანის „მარიო და ჯადოქარი" (რეჟ. ლ. წულაძე), ბერთოლდ ბრეხტის „შიში და სასოწარკვეთა" (რეჟ. ავთ. ვარსიმაშვილი), ირ. სოლომონაშვილის „ქვირითობა" (რეჟ. ოთ. ეგაძე). სეზონის შემდეგ სარდაფის თეატრი საგასტროლოდ ქუთაისში წავიდა. მესვეურებს განზრახული ჰქონდათ საქართველოს ყველა რაიონს წვეოდნენ.

დღეს, როდესაც საქართველოს მოსახლეობა სოციალურად რამდენადმე დაუცველია, — უკეთესი ცხოვრების იმედი არ კვდება. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდობა შეუპოვრად იბრძვის მერმისისათვის. სარდაფის თეატრში ყოველთვის ხალხმრავლობაა, განსაკუთრებით სჭარბობს ახალგაზრდობა. ახალგაზრდობა ხომ ყოველთვის სიახლეს ელტვის.

სარდაფის თეატრი კი ახლებური და მიმზიდველია.

**ნაზი ელიაშვილი**



„მარიო და ჯადოქარი". კახა თავართქილაძე, ნატო ებანოიძე.



„მარიო და ჯადოქარი".
ირაკლი ჩოლოყაშვილი, ქეთი ცხაკაია, ელენე ჰავჰავაძე, ეკა ანდრონიკაშვილი, ნატო ებანოიძე, ზურა შარია.



ელენე ჰავჰავაძე, გია გოგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაზი ისევ ჩვენთანაა



ასეთი შეგრძნება გაუჩნდებოდა ყველას, ვინც ესწრებოდა „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" სამგორის რაიონული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ პოეტ ნაზი კილასონიასადმი მიძღვნილ საღამოს, რომელზეც მოწვეული იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" პრეზიდენტი ქ-ნი ნანული შევარდნაძე, საზოგადოების აქტივი და ჟურნალ „საქართველოს ქალის" ჟურნალისტები, ჟურნალისა, რომელშიც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა პოეტმა ქალმა. საღამოს ესწრებოდნენ ნაზი კილასონიას მეგობარი პოეტები, მისი ვაჟიშვილი.

უდროოდ წასული პოეტის მიმართ უდიდესი სითბო და სიყვარული იგრძნობოდა ქ-ნ ნანული შევარდნაძის გამოსვლაში, რომელმაც მსმენელთა წინაშე ნიჭიერი პოეტის ცოცხალი პორტრეტი წარმოადგინა, მოიგონა მრავალი წლის ერთად მუშაობის ეპიზოდები, როგორ იქმნებოდა მის თვალწინ პოეტის საუკეთესო ლირიკული ლექსები.

ნაზის სიკვდილის შემდეგ პოეტის უალრესად საინტერესო მემუარების მიკვლევასა და მათ პუბლიკაციაზე ილაპარაკა ჟურნალ „საქართველოს ქალის" მთავარმა რედაქტორმა ქ-ნმა ნარგიზა მგელაძემ. — მათში პოეტის მთელი სულიერი ბიოგრაფიაა ჩატეული, — აღნიშნა მან და აუწყა მსმენელებს, რომ რედაქციას მწერალთა კავშირთან ერთად, გადაწყვეტილი აქვს ოქტომბერში, პოეტის დაბადების დღე ფართოდ აღნიშნოს.

პოეტთან ურთიერთობის საინტერესო ეპიზოდები გაიხსენა ქ-ნმა ეთერ ჯაფარიძემ და ამ საღამოს ორგანიზატორმა, „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" სამგორის რაიონის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ქ-ნმა კლარა სვანიძემ. თბილად მოიგონეს ნაზი კილასონია პოეტებმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, გივი ჭიჭინაძემ, თემურ ჩალაბაშვილმა.

რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობამ გამართა დიდი კონცერტი.

# დასჯა

შვილის დასჯა ყველა მშობელს უხდება, რაგინდ მომთხოვნი და გულჩვილი იყოს მშობელი. მართალია, ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ჯიუტი ბავშვის დასამორჩილებლად დასჯის გარდა სხვა საშუალება აღარ დარჩა, მაგრამ სპეციალისტების აზრით, დასჯა მიზნის მისაღწევად არც თუ ეფექტური საშუალებაა. აი, ზოგიერთი მიზეზი:

1. ძალიან ხშირად დასჯის შემდეგ ბავშვი ამჯერად მათ თვალსმოფარებული მაინც აგრძელებს იმ საქმიანობას, რისთვისაც მშობელთა რისხვა დაიმსახურა.

2. დასჯილ ბავშვს ღრღნის ეჭვი, რომ თავისი საქციელით მშობლების სიყვარულს დაკარგავს, იგი თავს გარიყულად გრძნობს და ეჭვიანობს და-ძმებზე, რომლებიც იმ წუთში არავის დაუსჯია.

3. დასჯილ ბავშვს ხშირად უჩნდება მტრობის გრძნობა მშობლების მიმართ და გადაუჭრელი დილემის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე. ერთის მხრივ, იგი გრძნობს, რომ მშობლებს ვერ მოერევა, თუმცა ამის დიდი სურვილი აქვს, მეორეს მხრივ, მას უყვარს მშობლები და იტანჯება, როცა ეს სიყვარული და სიძულვილი მის არსებაში დაუნდობლად ებრძვის ერთმანეთს.

4. მშობლებისაგან ყურადღებამოკლებული ბავშვები ცდილობენ აკრძალული საქციელის ჩადენით მაინც მიიპყრონ დედ-მამის ყურადღება, ამის სანაცვლოდ ისინი სასჯელზეც კი თანახმანი არიან.

და მაინც, არის სიტუაციები, როცა ბავშვის ცუდ საქციელზე თვალის დახუჭვა არაფრით შეიძლება. რით შეიძლება ამ შემთხვევაში შეიცვალოს სასჯელი?

1. მოთმინებით. მოთმინების უნარი ყველაზე დიდი ნიჭია, რაც შეიძლება მშობელს გააჩნდეს.

2. ახსნა-განმარტებით. აუხსენით ბავშვს, რატომ არ არის მისი საქციელი მოსაწონი, გააკეთეთ ეს რაც შეიძლება მოკლედ.

3. ყურადღების გადატანით. ეცადეთ სხვა, უფრო სასარგებლო საქმიანობისაკენ მიმართოთ თქვენი შვილის ყურადღება.

4. აუჩქარებლობით. ნუ იჩქარებთ ბავშვის დასჯას. მოითმინეთ, იქამდე მაინც, სანამ იგი განმეორებით ჩაიდენს მსგავს საქციელს.

5. საჩუქრებით. სჯობს ბავშვი წაახალისოთ და დაასაჩუქროთ კარგად მოქცევისათვის. მას აუცილებლად გაუჩნდება სურვილი განმეორებით მიიღოს თქვენი ქება და საჩუქარი.

ბავშვის ცემა საერთოდ არ არის რეკომენდებული. უფრო ეფექტურ საშუალებად ითვლება თქვენი შვილისთვის იქამდე მინიჭებული რაიმე პრივილეგიის ჩამორთმევა. მაგალითად, დაემუქრეთ ბავშვს, რომ ცუდი საქციელის განმეორების შემთხვევაში ტკბილეულს ვერ მიიღებს და შეუსრულეთ კიდეც ეს მუქარა.

მაგრამ 2,5—3 წლამდე საერთოდ არ არის მიღებული ბავშვის დასჯა, რადგან ამ ასაკამდე ბავშვი მაინც ვერ აცნობიერებს დასჯის მიზანს და ამ მოქმედებას თავისი არასწორი საქციელის შედეგად კი არა, თქვენი ავი ხასიათის გამოვლენად მიიჩნევს.

სასურველია, აგრეთვე, ხანდახან გაიხუმროთ დასჯის თაობაზე. მაგალითად, მოიგონოთ რაიმე ისეთი თამაში, რომელშიც ბავშვს თქვენი დასჯის შესაძლებლობა ექნება. როცა ის დაინახავს, რომ თქვენც ემორჩილებით საერთოდ მიღებულ წესებს, ნაკლებად დაწყდება გული, როცა მის არასწორ საქციელზე თქვენც ანალოგიურად მოიქცევით.

**ალან ფრომის წიგნიდან „ანბანი მშობლებისათვის"**

# ფოტო გარეკანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა-შვილი სცენაზეც დედა-შვილია



ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს პოპულარულ დედა-შვილს ინგა ბერაძესა და გიგი გეგელაშვილს. დედის მსგავსად გიგიც ოთხი წლიდან მღერის. ინგამ მეორე მუსიკალური სკოლა და თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის რევაზ ლაღიძის სახელობის მუსიკის ფაკულტეტი დაამთავრა, დღესაც ამ კათედრის პედაგოგი და ასპირანტია.

ინგა ტელევიზიაში მუსიკალური რედაქციის რედაქტორი გახლავთ. სარეკლამო მუსიკალური პროგრამა „რამპა“ მისი საავტორო გადაცემაა. დედა-შვილი რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის ლაურეატია. ისინი ყოველთვის „საკუთარი“ კომპოზიტორისა და პოეტის სიმღერებს მღერიან. იგი ინგას მეუღლე დავით გეგელაშვილია. მთელი მათი რეპერტუარი ქართულია. დათო სპეციალობით ფიზიკოსია, მუშაობს ერთ-ერთი რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, მუსიკისა და ლექსების წერა ცოლშვილის სიყვარულმა დააწყებინა. როცა რომელიმე მათგანს მუზა ეწვევა, სამივენი მიუსხდებიან ინსტრუმენტს და იბადება ახალი სიმღერა. ასე შეიქმნა „ღმერთო, გაზარდე ქართველი“, „ბავშვობა“. თვითნასწავლი კომპოზიტორი გააზრებულად ქმნის ტექსტსა და მუსიკას, იცის, რა ხასიათის მუსიკა მოუხდება დედა-შვილის ხმებს და იმიჯს.

გიგი თეატრალური სკოლა-სტუდია „ბერიკების“ მეოთხე კურსის სტუდენტია, მსახიობობაზე ოცნებობს, ამის ყველა მონაცემი აქვს. სტუდიიდან მიწვეული იყო იაპონიაში, გერმანიაში, მოსკოვში, ახლა იტალიაში მიემგზავრება.

შარშან მოსკოვში, „ორლიონოკის“ დარბაზში შედგა გიგის ბენეფისი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

მე-5 წელია ორგანიზაცია „ბავშვები ბავშვებს“ დსთ-ს ქვეყნებიდან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ ბავშვებს იწვევს. გიგის ყოველთვის იწვევენ და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. თხოვენ, საცხოვრებლად გადავიდეს მოსკოვში, მაგრამ ყმაწვილიცა და ოჯახიც ამ ნაბიჯისაგან თავს იკავებენ.

ინგა არის შვილის პროდიუსერი, მენეჯერი, კოსტიუმების მხატვარი. ხელმოკლეობის გამო დღეს განსაკუთრებით უჭირთ ესტრადის მომღერლებს, ბევრმა ამიტომაც მიატოვა სცენა, საქართველო. მომღერლისაგან კოლოსალურ თანხას თხოულობენ არანჟირებაში, თუ მუდმივი სპონსორი არა გყავს, ამ მოთხოვნებს თავს ვერ გაართმევ.

ივნისის დასაწყისში, მოსკოვში, სრულიად რუსეთის უწმინდესისა და უნეტარესის პატრიარქ ალექსი II თაოსნობით კრემლის სასახლეში გაიმართა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი — „რწმენით, იმედით, სიყვარულით“, რომელსაც ესწრებოდნენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები, ხელოვნებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი. კონცერტზე პატრიარქის მიერ პირადად იყო მიწვეული გიგი გეგელაშვილი, გუმილიოვის ლექსზე შექმნილი სიმღერა „საღამო“ იმღერა, რომელსაც დიდი გულმხურვალებით შეხვდა მსმენელი.

შარშან დედა-შვილი წარმატებით გამოვიდა მე-4 საერთაშორისო კინოფესტივალზე არტეკში. სიმღერას ერქვა „ბავშვობა“. ინგა კმაყოფილებით მიამბობს დედაზე, მეუღლეზე, განსაკუთრებით გიგიზე — ის ჩემი საუკეთესო პარტნიორია, არავითარი სურვილი არ მაქვს სხვასთან ვიმღერო, ის უკვე ნამდვილი პროფესიონალია, ჩვენ შეხმატკბილებულები ვართ. როცა 4-5 წლის იყო, მაშინაც მშვენივრად მომყვებოდა, არასოდეს იბნეოდა, სცენაზე თავს ლაღად და ამაყად გრძნობდა, არაფერი ეშლებოდა, ახლა კი გვერდით მიდგას თითქმის დასრულებული მომღერალი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „ღმერთო, გაზარდე ქართველი“, რომელმაც პოპულარობა მოგვიტანა სამივეს. გერმანიაში როცა ვიმღერეთ, ქართულ ჰიმნს მოჰყვებოდა ეს სიმღერა, მართალია სიტყვები არავის ესმოდა, მაგრამ ისეთი რეზონანსი ჰქონდა, ლამის ჭერი აიხადა აპლოდისმენტებით.

ამ მშვენიერ, ტკბილ, ჰარმონიულ ოჯახში ნამდვილი მუსიკა მეფობს, ყველანი მღერიან და სასიამოვნოა, რომ ამ სიმღერის ხმა შორს სცდება არამცთუ ოჯახის, ქვეყნის ფარგლებსაც.

**ნანული არჩვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვაგვარად ცხოვრება ვერც წარმომიდგენია

**თბილისის ძველ უბანში, მუსიკალური მექის სიახლოვეს, ერთ ძველებურ სახლში ღვაწლმოსილი ქალბატონი ცხოვრობს. ქალი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული მუსიკის განვითარებას მოახმარა, მხრებით ზიდა ის უზარმაზარი ტვირთი, რასაც საფორტეპიანო ხელოვნება და ღირსეული თაობის აღზრდა ჰქვია.**

**ახლახან კონსერვატორიის მცირე დარბაზში მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ ქალბატონ გულნარა ქავთარაძის დაბადებიდან 75 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავი აღნიშნა. იყო სიხარულის ცრემლები, მილოცვები და რაც მთავარია... მუსიკა, რომელსაც თავად იუბილარი ასრულებდა. დრო მოვიხელთე და მუსიკოსს გავესაუბრე.**



**— ქ-ნო გულნარა, როგორ მოხვედით მუსიკაში, ხომ ვერ გაიხსენებდით თქვენს პირველ ნაბიჯებს?**

— რომ გითხრათ ტრადიციულად მომდგამსო, ტყუილი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის წევრები კარგად მღეროდნენ, რაიმე განსაკუთრებული შეხება მუსიკასთან არ მქონია. შვიდი წლისა შემიყვანეს სამუსიკო სკოლაში, კარგად ვსწავლობდი, ამაში პედაგოგიც მიწყობდა ხელს, ქ-ნი ნუნუ პაროვა. მისი დახმარებით გადავდგი პირველი გაბედული ნაბიჯები და მოხდა ისე, რომ გამონაკლისის სახით, შვიდწლედის დამთავრების შემდეგ პირდაპირ კონსერვატორიაში ჩამრიცხეს.

**— თქვენ ღირსეული პიროვნების, ცნობილი მწერლის გიორგი ნადირაძის მეუღლე ბრძანდებით, რას გვეტყოდით თქვენი ოჯახის შესახებ?**

— ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა ასეთ მეგობარს შემახვედრა. გოგი ჩემი ლექტორი იყო, ასპირანტურაში ესთეტიკაში მიკითხავდა ლექციებს. პირველსავე ლექციაზე მომაქცია ყურადღება, კითხვა დამისვა, მე კი ვერ ვუპასუხე და მწარედ ავტირდი. უხერხულობაში ჩავარდნილმა ლექტორმა ფორტეპიანოზე დაკვრა მთხოვა. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

მიუხედავად ჩვენს შორის ასაკში ცხრამეტი წლის სხვაობისა, უბედნიერესი ქალი ვიყავი. ჩვენს ოჯახში დიდებული საზოგადოება იკრიბებოდა — ჩემი და გოგის მეგობრები. აი, ამ პატარა მაგიდას ყოველ შაბათს გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ანდრია ბალანჩივაძე, პავლე ხუჭუა უსხდნენ. ო, რა საღამოები იყო: იუმორით, სიმღერით სავსე. კამათიც იმართებოდა, საუბარი ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე. მე ჩუმად მივჯდებოდი ხოლმე კუთხეში და ვტკბებოდი ამ სანახაობით, თითქოს ვგრძნობდი, რომ დიდხანს არ გაგრძელდებოდა ეს ბედნიერება. სამწუხაროდ, ადრე დავქვრივდი, დამრჩა ერთადერთი ქალიშვილი მარინე, რომელიც ინგლისური ენის სპეციალისტია, მყავს დიდებული სიძე — არქიტექტორი თარხუჯ ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილი და ერეკლე მეფის მეექვსე შთამომავალი და შვილიშვილი — ნატო, ისიც მუსიკოსი.

**— თქვენი პირველი შემოქმედებითი ცდა, როგორი იყო იგი?**

— 10 წლისამ ევგენი მიქელაძის დირიჟორობით მოცარტის 23-ე კონცერტი შევასრულე. ეს ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი მონაკვეთია.

1949 წელს შოპენის სახელობის კონკურსი იმართებოდა. მე მოსკოვში გამაგზავნეს ჰენრი ნეიგაუზთან მოსამზადებლად. ორი ტური მშვენივრად გავიარე, მესამეზე კი, როგორც „ხალხის მტრის“ შვილი, არ დამიშვეს. მახსოვს, რა გულდაწყვეტით მითხრა ნეიგაუზმა: „Вас не пошлют, но вы прекрасный музыкант“.

**— რა თქმა უნდა, გახსოვთ პირველი წარმატებები და აღიარება.**

— 1949 წელს თბილისში შოპენის იუბილეზე პირველი პრემია მივიღე. ნეიგაუზმა მილოცვისა და აღიარების წერილი გამომიგზავნა. მალე ყინულიც გალღვა და 1952 წელს ვარშავაში — „ჟელეზოვა ვოლეში“ — შოპენის სახლ-მუზეუმში გამართულ კონცერტზე გამგზავნეს. ვიჯექი ამ გენიოსის სახლ-მუზეუმში ინსტრუმენტთან, ვასრულებდი მის ნაწარმოებებს. ღია ფანჯრებიდან ხალხი მისმენდა და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სადღაც კუთხეში იდგა დიდი მაესტრო და ჩაფიქრებული მადევნებდა თვალს.

**— ქ-ნო გულნარა, თქვენ ძალიან ხშირად ახსენებთ შოპენს.**

— დიახ, ბუნებით რომანტიკოსი ვარ. შოპენს ვაღმერთებ. მისი ყველა ნაწარმოები მაქვს შესრულებული. ის ჩემი სტიქიაა, ჩემს ბუნებაში ზის.

**— პიანისტთაგან ვის ანიჭებთ უპირატესობას?**

— ქართველთაგან ალექსანდრე კორსანტიას, ნამდვილი ხელოვანი და შესანიშნავი პიროვნებაა, ნოდარ გაბუნიას, ჯიზი ამირეჯიბს. ძალიან მიყვარდა ნეიგაუზი, აბორინი (შოპენს ასრულებდა კარგად), ნეიგაუზის ვაჟი — სტასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**— თქვენს პედაგოგთაგან ვის გაიხსენებდით?**

— რა თქმა უნდა, ანა თულაშვილს, მას ვუმადლი ყოველივეს ამქვეყნად. შესანიშნავი პედაგოგი იყო. სამწუხაროდ, იგი და ალიოში მიზანდარი მიივიწყა ხალხმა. მიზანდარის გახსენებას ჩემს დამსახურებად მივიჩნევ. ხშირად ვასრულებდი მის ნაწარმოებებს. შემდეგ იგი კუკიის სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადმოასვენეს და ერთ-ერთ სასწავლებელს მისი სახელი უწოდეს.

**— თქვენ მრავალი მოსწავლე აღზარდეთ, ვის გამოარჩევდით მათგან?**

— ძალიან გამიჭირდება დასახელება. ყველანი ღირსეული ადამიანები და პედაგოგები არიან. მაგრამ ერთს მაინც გამოვარჩევდი — გიორგი შავერზაშვილს, კარგ კომპოზიტორს და სპეციალისტს.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— რა თქმა უნდა, შოპენი. იცით, შოპენს ყველაზე ცუდად პოლონელები ასრულებენ (ალბათ „ცივსისხლიანობის" გამო), ყველაზე კარგად ფრანგები. სხვათაშორის, შოპენს გვარი ჰქონდა პოლონური, სისხლი კი მაინც ფრანგული. შოპენის შემდეგ ძალიან მიყვარს რახმანინოვი და სკრიაბინი.

**— ქ-ნო გულნარა, როგორი ხასიათი გაქვთ?**

— ძალიან ემოციური და ფეთქებადი (რითაც ბევრჯერ წავაგე), მაგრამ წყენა დიდხანს არ მიმყვება, გულწრფელი ვარ და დიპლომატიის უნარს მოკლებული. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და ზედმეტად გულკეთილადაც მთვლიან.

**— რა მიგაჩნიათ ბედნიერებად და რაზე გწყდებათ გული?**

— ბედნიერებაა, აი ეს როიალი რომ მაქვს, ჩემი მეგობარი და მესაიდუმლე. ბედნიერი ვარ, რომ ქართული მუსიკა მხრებით გავიტანე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ყველა ქართული ნაწარმოები მაქვს შესრულებული. გული მწყდება, რომ მათი შესრულება ახალგაზრდებს რატომღაც არ უყვართ, თითქოს ეთაკილებათ კიდეც. იცით, კიდევ რაზე მწყდება გული? ასეთი შესაძლებლობები ახლა რომ არის, ნეტა მაშინ ყოფილიყო. ჩვენ კი 1952 წლამდე რახმანინოვის შესრულებასაც გვიკრძალავდნენ (როგორც ემიგრანტისა).

**— ბედისა თუ გჯერათ, ქ-ნო გულნარა?**

— მჯერა, რა თქმა უნდა, მაგრამ სიზმრისა უფრო მჯერა. ანეკდოტად დადის ნაცნობ-მეგობრებში ჩემი სიზმარი ერთ დიდ პიროვნებაზე, რომლის რამდენჯერმე ნახვის შემდეგ ან ჯილდოს ვიღებდი ან წოდებას. ამ ცოტა ხნის წინათაც ვნახე და... იცინის.

**— თქვენი პროფესიის ადამიანი უკურიოზოდ წარმოუდგენელია.**

— რამდენიც გნებავთ. ომის დროს (852 კონცერტი მაქვს გამართული) ჯარისკაცებისათვის კონცერტებს მე და ცნობილი პავლე ხუჭუა ვაწყობდით. ჯერ ის ლექციას წაიკითხავდა, შემდეგ ჩემი რიგი დგებოდა. მოგეხსენებათ ომის დროს ინსტრუმენტების ამბავი, მთლად მოშლილი იყო. ჩამივარდებოდა კლავიში და იჭედებოდა, პავლე კი, ვითომდაც აქ არაფერიაო, ამოკრავდა თითს და ამოაგდებდა.



მარცხნიდან: ალექსანდრე შავერზაშვილი, ანდრია ბალანჩივაძე, გულნარა ქავთარაძე, ხულხან ცინცაძე, მერი დავითაშვილი, ნოდარ მამისაშვილი.

ლენინის დაბადების 100 წლისთავი იყო. „იმელის" მაშინდელმა დირექტორმა დევი სტურუამ მთხოვა, ძველ ბოლშევიკებთან შეხვედრაზე ბეთჰოვენის „აპასიონატა" შემესრულებინა. საღამო გოგი გეგეჭკორს მიჰყავდა. გამოვედი სცენაზე და გადავხედე ინსტრუმენტს. მთლად ახალი იყო. მივუჯექი და თქვენს მტერს, რაც მე დამემართა. ინსტრუმენტის ნახევარი აწყობილი იყო, ნახევარი — ასაწყობი. მარცხენა ხელი სხვას უკრავდა, მარჯვენა — სხვას. სიმწრის ოფლმა დამასხა. დარბაზს გადავხედე. სიჩუმეა. დავამთავრე დაკვრა. გაისმა ტაშის გრიალი, გავედი კულისებში, ფერი არ მადევს. გოგის ვუთხარი ჩემი გასაჭირი. მოგცლია ერთი — იგუდებოდა სიცილით გოგი, — მაგათ ყურში არ ესმის და შენ რას იკლავ თავსო.

**— ახლა, ამ დიდი გზის გადასახედიდან, თავიდან რომ იწყებდეთ ცხოვრებას...**

— სხვაგვარად ცხოვრება ვერც წარმომიდგენია...

**— იმედით უყურებთ მომავალს?**

— დიდი იმედით, ჩემი ქვეყნის გაერთიანებისა და აღორძინების ღრმა რწმენით, მაშინ საიქიოშიც ბედნიერად ვიგრძნობ თავს.

* * *

ვემშვიდობები მშვენიერ ქალბატონს, რომელიც მზერას ფარულად როიალისკენ აპარებს, ვგრძნობ, ძვირფას დროს ვართმევ. ვტოვებ მყუდრო ბინას, სადაც კედლები აფიშებს დაუფარავს, რომელთაგან ყველაზე ძველი 1940 წლით თარიღდება, ყველაზე ახალი — 1997 წლით. დარბაზში კედლიდან ოჯახის თავკაცის, ბატონი გოგის მზერა გვაცილებს.

შთაბეჭდილებებით სავსე ვტოვებ მუსიკის საუფლოს საუკეთესო სურვილებითა და მომავალი შეხვედრის დიდი იმედით.

**მანანა იმესაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

## ქართველი პრეტენდენტები: როგორია მათი შესაძლებლობები

1981 წელს გაწყდა ჭადრაკში ქართველი მსოფლიო ჩემპიონების სრული დომინაციის 30-წლიანი ჯაჭვი. ეს, რა თქმა უნდა, მძიმე დანაკლისი იყო ჩვენთვის. იოლი საქმე არ არის წლების განმავლობაში შეეჩვიო, რომ მსოფლიო ჩემპიონატები შენი გადასაწყვეტია, შენი შინაური საქმეა, შემდეგ კი... სხვათა პაექრობას უნდა ადევნო თვალი. ხიუ ჟუნისა და ჟუჟა პოლგარის მატჩი მსოფლიო პირველობაზე ხომ პირველი იყო 1962 წლის შემდეგ, ქართველების გარეშე რომ გაიმართა. შეიძლება კი ამის გამოსწორება 1997 წლისათვის, როცა ახალი ორთაბრძოლა უნდა ჩატარდეს სამყაროს № 1 მოჭადრაკისათვის?

საზონათშორისო ტურნირმა, რომელიც შემოდგომაზე მოლდოვას დედაქალაქ კიშინიოვში ჩატარდა, ჩვენ გარკვეული იმედები ჩაგვისახა.

### მაია ჩიბურდანიძე

მას შემდეგ, რაც მსოფლიო პირველობა დაკარგა, მაია, გასაგებია, ჭადრაკს არ ჩამოსცილებია. მონაწილეობდა (და საკმაოდ წარმატებითაც) მრავალრიცხოვან საერთაშორისო ტურნირებში, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. პირველი პრიზების კოლექცია, რომელიც მის ბინაზე ინახება, კიდევ უფრო გამდიდრდა.




ყველაზე პრინციპული მაიასათვის მაინც საერთაშორისო ოლიმპიადებზე და მსოფლიო პირველობის შესარჩევ შეჯიბრებებში მონაწილეობა იყო. როგორც მანილის, ისე მოსკოვის ოლიმპიადებზე მაია ჩიბურდანიძე ღირსეული ლიდერი იყო. პირადად ბრწყინვალედ ითამაშა, საქართველოს გუნდი კი ორჯერ ზედიზედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, რაც ყველა სხვა წარმატებას რომ თავი დავანებოთ, სამუდამოდ ეყოფა მას დიდ სახელად. რაც შეეხება პრეტენდენტთა ასპარეზობებში მონაწილეობას, აქ მაიამ დაამტკიცა, რომ კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ (1992 წელს მან მეორე-მესამე ადგილები გაიყო ნანა იოსელიანთან, 1994 წელს კი პირველ-მეორე ადგილები ჟუჟა პოლგართან).

ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ მაია პრეტენდენტთა შორის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება. გავიდა თვრამეტი წელი მის მიერ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებიდან, ხუთი — ამ წოდების დაკარგვიდან. მაგრამ ხომ იყო შემთხვევები ჭადრაკის ისტორიაში, როცა დიდოსტატი მსოფლიო ჩემპიონობას იბრუნებდა (ალიოხინი, ბოტვინიკი და ბიკოვა). რატომ არ შეიძლება ეს მაიამაც გააკეთოს, მით უმეტეს, რომ ჭადრაკისათვის კრიტიკული ასაკი ძალიან შორსაა.

ამ ბოლო ხანებში გავრცელდა ხმები, თითქოს მაია აპირებდა ჭადრაკისათვის თავის დანებებას და მონასტერში აღკვეცას. ასეთი ცნობა პირველად ჰამბურგის ჟურნალ „შპიგელში“ დაიბეჭდა და შემდეგ სხვაგანაც გავრცელდა. ამასთან დაკავშირებით მაიამ განაცხადა, რომ ეტყობა ჟურნალისტებმა მეტი იციან მის შესახებ, ვიდრე თვითონ. ერთი სიტყვით, ხმები ხმებად დარჩა, თვით მაია განაგრძობს შეჯიბრებებში მონაწილეობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნანა იოსელიანი

1979 წლიდან მოყოლებული ნანა იოსელიანი მსოფლიოს ურთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება. ხუმრობა ხომ არ არის, პრეტენდენტთა ასპარეზობებს რომ თავი დავანებოთ, მან ორი მატჩი ითამაშა მსოფლიოს პირველობაზე. საერთაშორისო ტურნირებსა და ოლიმპიადებს ხომ ვერ მოთვლი...

კიშინიოვის საზონათშორისო ტურნირებში, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი უნდა შეერჩია, ნანა ისე იოლად თამაშობდა, თითქოს რომელიღაც საწვრთნელ შეჯიბრებაში მონაწილეობსო. მეტისმეტად მსუბუქად, ძალების დაუძაბავად, ენერგიის დიდი მარაგით. ამის შედეგი იყო „გამსვლელი ქულის“ ადვილად მოპოვება, მაღალი კლასის დემონსტრაცია, ტურნირის წაუგებლად ჩატარება.

ერთი სიტყვით, ნანას ახლა აღარაფერი აკლია. უდიდესი გამოცდილება აქვს, დიდი ნიჭი, დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი, დახვეწილი ტექნიკა. ვნახოთ! ასეთი კლასის მოჭადრაკემ კიდევ უნდა ითამაშოს წარმატებით.

ახლა ნანა დროებით პრაღაში ცხოვრობს, კონტრაქტს მოაწერა ხელი ჩეხეთის ერთ-ერთ კლუბთან და ამ ქვეყნის გუნდურ პირველობაზეც მონაწილეობს. საინტერესო იყო ნანა იოსელიანის მონაწილეობა ამ ბოლო პოპულარულ მატჩ-ტურნირში, რომელსაც „ქალბატონები სენიორების წინააღმდეგ“ ჰქვია. აქ ნანა შეხვდა ვიქტორ კორჩნოის, ბორის სპასკის, 74 წლის ვასილ სმისლოვს, ლაიოშ პორტიშს და ვლასტიმილ ჰორტს...

## ქეთევან არახამია

ქეთევან არახამია დიდი პოტენციური შესაძლებლობების მოჭადრაკეა. მახსოვს, მრავალი წლის წინათ მეთხუთმეტი ხელი გოგონა მშობლებმა ოჩამჩირიდან თბილისში რომ ჩამოიყვანეს ერთ-ერთ გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. იგი არ იბნეოდა ბევრად უფრო გამოცდილ მოჭადრაკეებთან შეხვედრაშიც კი, ხშირად ამარცხებდა მათ. ყურადღებას იპყრობდა ერთი რამ: ქეთევანი, თუმცა სრულიად პატარა იყო, თამაშობდა იშვიათი მონდომებით და გულისყურით.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. 1985 წელს 17 წლის ასაკში ქეთევანი მსოფლიო ჩემპიონი გახდა გოგონათა შორის, შემდეგში მოიგო არაერთი საერთაშორისო ტურნირი, მონაწილეობდა პრეტენდენტთა ასპარეზობებში.

ქეთევანის თამაში გამოირჩევა უაღრესი უკომპრომისობით. მას ბავშვობიდანვე სძაგს ყაიმი, თამაშობს უკანასკნელ შესაძლებლობამდე. შეუძლია „გადასწვას ხიდი“ და სულაც არ იფიქროს, ასე ვთქვათ, იმაზე, რომ საჭიროა უკან დაბრუნება. გავიხსენოთ თუნდაც ამას წინათ დამთავრებული კიშინიოვის საზონათშორისო ტურნირი. არახამიას, რომელმაც ბრწყინვალე სტილით დაიკავა პირველი ადგილი, მრავალ გამარჯვებასთან ერთად მაინც ჰქონდა ორი დამარცხება (მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულებს — არცერთი). ესეც „უკანასკნელ პაიკამდე“ თამაშის ტაქტიკის ერთ-ერთი შედეგი გახლავთ.

შეუძლია უკვე ესოდენ გამოცდილ და თანაც ახალგაზრდა დიდოსტატს ახალი, მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვება? რა თქმა უნდა, შეუძლია!





## ქეთევან კახიანი

თავისი განსაკუთრებული შეუპოვრობითა და ბრძოლის წყურვილით ქეთევან კახიანი ჩინებული პედაგოგის, გიორგი მაჭარაშვილის მოწაფე, ძალიან ჰგავს, არც მეტი და არც ნაკლები, შეუდარებელ ნონა გაფრინდაშვილს. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, როგორი რეჟიმით ცხოვრობდა ქეთევანი, სულ პატარაობიდან სოფელ დიდ დიღომში. დილით სკოლა, შემდეგ ყოველდღე ჩამოსვლა თბილისში ჭადრაკში სამეცადინოდ (კიდევ კარგი, რომ ავტობუსით მგზავრობა ასე ძვირი არ იყო), უკან დაბრუნება, გაკვეთილების მომზადება, დაძინება. თქვენ წარმოიდგინეთ, ასე გრძელდებოდა, 7-8 წელიწადს. გოგონა, რომელმაც ანბანიდან დაიწყო, თანდათანობით გახდა ოსტატობის კანდიდატი, ოსტატი, საერთაშორისო ოსტატი, დიდოსტატი, პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე.

ადრინდელ წარმატებებს რომ თავი დავანებოთ, ქეთევანმა, რომელიც ახლა გერმანიის ქალაქ გუგენ ტურმში ცხოვრობს (საფრანგეთის საზღვართან ახლოს), 1995 წელსაც იშვიათი შეუპოვრობა გამოავლინა: ევროპული ზონალური ტურნირიდან საზონათაშორისო მხოლოდ ერთ, პირველ ადგილზე გავიდა და ეს საგზურიც მოიპოვა! აგვისტოში შვილი შეეძინა. სხვა მის მდგომარეობაში, სექტემბერში საზონათშორისოში ნამდვილად არ ითამაშებდა (ეს კი ორი წლის დაკარგვას ნიშნავდა!), ქეთევანმა არა თუ ითამაშა, არამედ საპატიო მეორე ადგილიც დაიკავა (დაუმარცხებლად) და პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლება მოიპოვა. აი განსაკუთრებული შეუპოვრობის ასევე სრულიად განსაკუთრებული ნიმუში!

ვუსურვოთ ქართველ მოჭადრაკეებს, რომ რომელიმე მაინც შეხვედროდეს მსოფლიო ჩემპიონს!

გივი ბამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია კულინარია

## ქადა

2 ჭიქა ფქვილი და 200 გრამი მარგარინი ავსრისოთ ხელით კარგად. ცალკე ავთქვიფოთ 1 ჭიქა მაწონი, 1 სუფრის კოვზი ზეთი და 1 ჩაის კოვზი სოდა ძმრით. მაწონი და ფქვილი ავურიოთ კარგად და მიღებული ცომი შევდგათ მაცივარში ნახევარი საათით.

გული მოვამზადოთ შემდეგნაირად: 100 გრამი მარგარინი, 1 ჭიქა ფქვილი 1,5 ჭიქა შაქარი ავურიოთ კარგად და დავუმატოთ ვანილი.

ცომი გავყოთ სამად. გავაბრტყელოთ თითოეული ცალ-ცალკე, გავშალოთ ზედ გული, დავახვიოთ რულეტივით, მოვუსვათ ზემოდან ათქვეფილი კვერცხის გული, დავჭრათ ნაჭრებად და გამოვაცხოთ.

## სამარხვო ნამცხვარი

2 ჩაის ჭიქა ჯემი, 2 ჩაის ჭიქა წყალი, 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი ავურიოთ კარგად. დავუმატოთ 2 ჩაის კოვზი სოდა, 2 ჩაის კოვზი დარიჩინი (თუ გვაქვს), 3/4 ჩაის ჭიქა ზეთი. შეიძლება სურვილის მიხედვით დავუმატოთ დაჭრილი ნიგოზი და ქიშმიში. ბოლოს შევურიოთ 8 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი. მოვათავსოთ ცხიმწასმულ, ფქვილმოყრილ ფურცელზე და გამოვაცხოთ. ზემოდან შეიძლება მოვაყაროთ დაჭრილი ნიგოზი და ქიშმიში. ცხვება საშუალო სიმხურვალის ქურაში ძალიან მალე. მზა ნამცხვარი გავაციოთ და ზემოდან მოვაყაროთ შაქრის „პუდრა“.

## ტორტი „ჭიანჭველას ბუდე“

1 კოლოფი მარგარინით, 1/2 ჭიქა რძით, 2 კვერცხით, 1 ჩაის კოვზი სოდითა და ფქვილით მოვზილოთ მჭადის ცომის სისქე მასა. გავატაროთ ხორცის საკეპ მანქანაში, გამოვაცხოთ. გავაციოთ, კარგად დავფშვნათ ხელით. ავურიოთ კრემში და კოვზით მივცეთ ჭიანჭველის ბუდის ფორმა.

კრემი: 1 ქილა შესქელებული რძე (ვხარშოთ 2-2 1/2 საათს), 200 გრამი კარაქი ან მარგარინი ავთქვიფოთ კარგად, დავუმატოთ ცოტა ვანილი.

## ხაჭოს რულეტი

200 გრამი ხაჭო, 200 გრამი არაჟანი, 200 გრამი კარაქი ავთქვიფოთ კარგად. დავუმატოთ დანის წვერით მარილი, 1/2 ჩაის კოვზი სოდა, ვანილი და ჭიქანახევარი ფქვილი. ცომი გავაბრტყელოთ კარგად, მოვაყაროთ შაქარი, დავახვიოთ რულეტივით. ზემოდან მოვუსვათ ცოტა წყალში ან რძეში გათქვეფილი კვერცხის გული, დავჭრათ ნაჭრებად და გამოვაცხოთ.

## სამარხვო თაფლაკვერები „პრიანიკები“

2 ჭიქა ბორჯომი, 2 ჭიქა შაქრის ფხვნილი და 8 სუფრის კოვზი ზეთი კარგად ავურიოთ, დავუმატოთ 1 ჩაის კოვზი ძმარში გახსნილი სოდა, 5-6 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი. გავაკეთოთ პატარა გუნდები და გამოვაცხოთ.

სიროფი მოვამზადოთ შემდეგნაირად: 1 ჩაის ჭიქა წყალი და 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი ვადუღოთ ისე, რომ თაფლივით გასქელდეს. გამომცხვარი თაფლაკვერები დავაწყოთ თუნუქის ფურცელზე ცალ-ცალკე და კოვზით თითოეულს მოვასხათ სიროფი.

## ხაჭოს ფუნთუშები

500 გრამი ხაჭო და 3/4 ჭიქა შაქრის ფხვნილი ავთქვიფოთ კარგად. თანდათანობით ჩავუმატოთ 2 კვერცხი, დანის წვერით მარილი, 1 ჩაის კოვზი სოდა და 3 ჭიქა ფქვილი. მიღებული ცომისაგან გავაკეთოთ პატარა გუნდები და ჩავუშვათ მდუღარე ზეთში. მზა ფუნთუშებს მოვაყაროთ დაფქვილი შაქრის ფხვნილი.

## ტორტი „დედას“

6 კვერცხითა და 2 ჭიქა შაქრის ფხვნილით გავაკეთოთ გოგლი-მოგლი. ნელ-ნელა დავუმატოთ 2 ჭიქა არაჟანი, 3 ჩაის კოვზი კაკაო, 1 ჭიქა გატარებული ნიგოზი (შეიძლება თხილიც), 1 ჭიქა ქიშმიში, 1 ჩაის კოვზი სოდა, 2 ჭიქა ფქვილი. მიღებული მასა გავყოთ 2-ად და გამოვაცხოთ.

კრემი მოვამზადოთ შემდეგნაირად: 250 გრამი კარაქი ან მარგარინი ავთქვიფოთ კარგად და ნელ-ნელა დავუმატოთ 1 ქილა შესქელებული რძე, 2 სუფრის კოვზი ფორთოხლის წვენი, 1 სუფრის კოვზი კონიაკი ან ლიქიორი. ტორტი მოვრთოთ ნიგვზით, ფორთოხლის ნაჭრებითა და ქიშმიშით.

## სამარხვო კექსი

ნახევარი ჩაის ჭიქა გატარებული ნიგოზი, ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და 1 ჩაის ჭიქა გახეხილი ვაშლი კარგად ავურიოთ. დავუმატოთ ნახევარი ჩაის ჭიქა ზეთი, ვანილი და 1 ჩაის კოვზი სოდა ძმრით. ბოლოს შევურიოთ 2-2,5 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი. მოვათავსოთ ცხიმწასმულ, ფქვილმოყრილ ფორმაში და გამოვაცხოთ ნელ ცეცხლზე. მზა ნამცხვარს მოვაყაროთ შაქრის „პუდრა“.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 20.05.97 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.09.97 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6. ტირაჟი 700. შეკვ. 0683.

დავითის შემობრძანება თბილისში

არქიტექტორი ტ. კალანდარიშვილი

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი



დავით იაკობაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მის საქართველო 97"

საქართველოში ძნელია მჯობნის მჯობნი მოძებნო და მაინც: კონკურსის მიზანიც ეგ არის. ჟიურისაც გაუჭირდა ერთის შერჩევა და ერთად სამი „მისი" გახდა გამარჯვებული: თამარ მამულაშვილი, თინათინ ფაცაცია და ნინო ცქიტიშვილი

ნუკრი ჯიოშვილის ფოტოები





